ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 19 აპრილი, 2021 №66 (8595) ფასი: 60 თეთრი

## „2022-ში ვადამდელი არჩევნები ინიშნება, თუ ადგილობრივში „ოცნება“ 43%-ზე ნაკლებს მიიღებს“

გვ.2

რა წერია შარლ მიშელის შეთავაზებაში



# კალაძე „ოცნებიდან“ 13 დეპუტატს გამოიყვანს და უმრავლესობას დაშლის



## „თვითმმართველობის არჩევნებზე ვადამდელი საპარლამენტოს მიბმა უაზრობაა“

„თუ რეფორმები არ გაატარეს, „ოცნება“ 40%-ს კი არა, 140%-ს არ მიიღებს?!“



გვ.3

თაკო ჩარკვიანი: „გახარიასა და ივანიშვილის უკან რუსეთი დგას“

## „ოპოზიციამ დამღალა, არ მაინტერესებს, პარლამენტში ვინ შევა და ვინ — არა“

თორნიკე შარაშენიძე: „გახარია ორი წელი იძახდა, 20 ივნისი ჩემი გაკეთებულია, ჩემს თავზე ვიღებო, მერე უცებ ტირილს ვერ დაიწყებს, მაიძულესო“



გვ.4

## „პატარა პარტიები პარლამენტში უნდა შევიდნენ“



გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „თუ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება, პატარა პარტიები უნდა შეუერთდნენ ნაციონალურ მოძრაობას და ერთ დიდ ბლოკად გამოვიდნენ“



## სოსო შატბერაშვილი: „ოცნებამ“ პარლამენტში შემთხვევითი ადამიანები მოიყვანა და შედეგსაც იმკის“

გვ.4

### შს მინისტრის მოადგილე და აშშ-ის ელჩი სექსუალური ძალადობის გამოძიების ტრენინგს დაესწრნენ



გვ.5

### შსს-ს სასაზღვრო პოლიციას მაღალი გამავლობის ავტომანქანები გადმოეცა

გვ.5



ISSN 1987-9385

2 რატომ შეუერთდი „ქართული ოცნების“ მოღალატეებს?! წულუკიანი ქუთაისის თეატრის დირექტორ მარჯანიშვილს ხსნის

5 63 წლის თ.ს. 7 წლის გოგონას მიმართ გარყვნილი ქმედებისთვის დააკავეს

6 რუსეთში უკრაინის კონსული დააკავეს

2 სუსმა დააკავა 2 პირი, რომლებიც რადიოაქტიურ მასალას ქუთაისში 300.000 ევროდ ყიდდნენ

# „2022-ში ვადამდელი არჩევნები ინიშნება, თუ ადგილობრივში „ოცნება“ 43%-ზე ნაკლებს მიიღებს“

## რა წერია შარლ მიშელის შეთავაზებაში



ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის წინადადებით, საქართველოში ვადამდელი არჩევნები 2022 წელს უნდა დაინიშნოს იმ შემთხვევაში, თუკი ადგილობრივ არჩევნებში „ქართული ოცნება“ პროპორციული ხმების 43%-ზე ნაკლებს მიიღებს.

უფრო კონკრეტულად, ახალ არჩევნებთან დაკავშირებით შარლ მიშელის მიერ პარტიებისთვის შეთავაზებული ახალი წინადადება ასეთია:

„2021 წლის 16 აპრილს „ქართული ოცნების“ შემოთავაზებაზე დაყრდნობით, 2022 წელს ვადამდელი არჩევნები უნდა ჩაინიშნოს იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებზე ვალიდური პროპორციული ხმების 43%-ზე ნაკლებს მიიღებს“.

შარლ მიშელის წინადადებით, პოლიტპატიმრებად აღქმული პირები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმების გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში უნდა გათავისუფლდნენ.

„საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობისთვისა და ამ შეთანხმების შესრულებისთვის, ხელისმომწერები მზადყოფნას გამოხატავენ, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში მიმართავენ პოლიტიკურ მართლმსაჯულებად აღქმულ საქმეებს, ამნისტიის ან/და იმგვარი ნაბიჯების გადადგმით, რომელიც იმავე შედეგს გამოიღებს“, — ნათქვამია მედიატორ მიშელის წინადადებათა ახალ პაკეტში, რომელიც ხელისუფლებასა და ოპოზიციას გუშინ, 18 აპრილს, გადაეცა.

# რატომ შეუერთდი „ქართული ოცნების“ მოღალატეებს?!

## წულუკიანი ქუთაისის თეატრის დირექტორ მარჯანიშვილს ხსნის



კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი ქუთაისის თეატრს შეხვდა.

თეატრის დირექტორი თორნიკე მარჯანიშვილი მინისტრ წულუკიანთან შეხვედრის დეტალებს ტვ პირველთან ყვება.

მარჯანიშვილი ამბობს, რომ მას პოლიტიკური ნიშნით ატოვებინებენ თეატრს, რადგან „ოცნება“ დატოვა და 2020 წლის არჩევნებზე „ჩვენი საქართველო – სოლიდარობის ალიანსის“ სახელით იყრიდა კენჭს.

— ნაციონალებთან რომ წასულიყავი, მესმის, მაგრამ შეუერთდი იმ პარტიას, რომლის წევრებმაც „ქართულ ოცნებას“ უღალატეს, — ასე მიმართა წულუკიანმა მარჯანიშვილს შეხვედრის დროს.

**თორნიკე მარჯანიშვილი:**

— სამხატვრო ხელმძღვანელის ოთახში რომ ავედით, განცხადება ჩემი მიმართულებით გააკეთა, ეს პოლიტიკოსი მარჯანიშვილი რომელი ბრძანდებაო. პოზიცია ის იყო, თუ პოლიტიკა გინდოდა, დაგეწერა განცხადება და წასულიყავიო. სამხატვრო ხელმძღვანელმა მითხრა, მე შენ ადგილას დავწერდი განცხადებას და წავიდოდიო. ამ ხელფასის გარდა, მე შემოსავალი არაფერი მაქვს, გამოდის, რომ უნდა გავყიდო სახლი, მე სხვა არაფერი გამაჩნია.

თეატრის დირექტორი ამბობს, რომ თანამდებობის დატოვებას არ აპირებს.

# კალაძე „ოცნებიდან“ 13 დეპუტატს გამოიყვანს და უმრავლესობას დაშლის

შაბათის ფორმულას ინფორმაციით, თბილისის მერი კახა კალაძე დუბაიში ფეშენებელურ სასტუმროში 1 კვირის განმავლობაში იმყოფებოდა. 5-ვარსკვლავიან სასტუმროში დედაქალაქის მერი ოჯახთან და მეგობრებთან ერთად ისვენებდა.



სასტუმროს ჯავშნის მიხედვით, დუბაიში ერთკვირიან ტურში კახა კალაძე მეუღლესთან და შვილებთან ერთად წავიდა. მასთან ერთად იყვნენ წინა მოწვევის პარლამენტის და კალაძის გუნდის წევრი ივლიანე წულაია ოჯახთან ერთად და დეპუტატი ლევან კობიაშვილი ოჯახთან ერთად.

კალაძე-კობიაშვილი-წულაიას დუბაიში დასვენება მკაცრად გასაიდუმლოებულია. შაბათის ფორმულას მიერ მოპოვებულ დოკუმენტში ჩანს, რომ თითოეული მათგანის ერთკვირიანი ვოიაჟის ღირებულება, ოჯახთან ერთად, სასტუმროს ლუქსის ტიპის ნომერში 39.067 დირჰამია, რაც ქართულ ვალუტაში 36.427 ლარია.

დედაქალაქის მერიაში შაბათის ფორმულას უთხრეს, რომ კახა კალაძე შვებულებაში არ იმყოფება და ის მუშაობას დისტანციურ რეჟიმში განაგრძობს.

წასვლის შესახებ კალაძემ თავად ერთი კვირის წინ ვიდეომიმართვაში განაცხადა, თუმცა, სად იმყოფებოდა, არ უთქვამს.

კახა კალაძე, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში ღიად გამოაცხადებს საკუთარ გადაწყვეტილებას და „ქართული ოცნებიდან“ წავა. ამ მძიმე გადაწყვეტილების მისაღებად კი, როგორც ჩანს, თბილისის ჯერ კიდევ მოქმედმა მერმა დუბაის ლაჟვარდოვანი სანაპირო შეარჩია.

კახა კალაძემ თბილისი კერძო თვითმფრინავით, ჩარტერული რეისით დატოვა. როგორ ჩანს, დუბაის სანაპირო ის ადგილია, სადაც „ოცნების“ დაშლა საბოლოოდ გაფორმდება.

პარლამენტში, სულ მცირე, 13 დეპუტატი მისი სამეგობროა.

„მთავარ არხს“ წყარო უყვება, რომ კახა კალაძე დუბაის ვოიაჟიდან დაბრუნების შემდეგ მმართველი პარტიიდან წასვლაზე განაცხადს მალევე გააკეთებს. თუ მოქმედ მერს მისი თანაგუნდელები გაჰყვებიან, „ქართულ ოცნებას“ 84 დეპუტატიდან საკანონმდებლო ორგანოში 71 დეპუტატი დარჩება და ის საპარლამენტო უმრავლესობის სტატუსს დაკარგავს.

# „ლანცეტის“ დირექტორი ფარმან ჯეირანლი აზერბაიჯანის დაკვეთით დაიჭირეს“



აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის განცხადებით, პოლიტიკური ანგარიშსწორების სამიზნე გახდა კლინიკა „ლანცეტის“ დირექტორი ფარმან ჯეირანლიც, რომელიც ამ დრომდე ციხეშია.

— ფარმან ჯეირანლის დიდი ხანია ვიცნობ. ის აზერბაიჯანში მუშაობდა, იქ კლინიკა ჰქონდა, ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო კლინიკა იყო, ძალიან პოპულარული. შემდეგ აზერბაიჯანის ხელისუფლების წევრები მისგან ქრთამს ითხოვდნენ, დაახლოებით, 5-6 წელი ის ქრთამს არ აძლევდა და დიდი პრობლემები ჰქონდა ამის გამო, საბოლოოდ მან მიატოვა იქაურობა და ჩამოვიდა საქართველოში, თუმცა მას დარჩა კონტრაქტები აზერბაიჯანთან, განსაკუთრებით კი ოპოზიციასთან.

მაშინ საქართველოში 100-მდე აზერბაიჯანელი ოპოზიციონერი ცხოვრობდა. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მას ბრალად დასდო, რომ ის რევოლუციას აფინანსებდა, თუმცა ფარმანს არ აქვს ისეთი დიდი ფული, რომ ეს გააკეთოს.

ის პოლიტიკური პატიმარია და აზერბაიჯანის დაკვეთით დააკავეს. ის არ უნდა იყოს ციხეში, რადგან ყველამ აღიარა პოლიტიკურ პატიმრად, — თქვა აფგან მუხთარლიმ.

ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილის განცხადებით, ფარმან ჯეირანლი პოლიტიკაში ჩარეული არ ყოფილა. მისი თქმით, სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ სააპელაციომ შეცვალა და პატიმრობა 2 წლამდე შეუმცირა, თუმცა შემდეგ უზენაესმა საქმის წარმოების გარეშე ისევ 6– წლიანი სასჯელი დააბრუნა.

# კოჯრის ბავშვთა სახლის დარაჯს ბავშვებზე ძალადობას სდებენ ბრალად

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები დახმარებას ითხოვენ — რა ხდება კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლში?



მძიმე ფაქტებს „რუსთავი 2“-ს ამავე სახლის ბენეფიციარები უყვებიან. გაუპატიურება, ფიზიკური ანგარიშსწორება, ფსიქოლოგიური ზეწოლა – ძალადობის მსხვერპლი ეტლს მიჯაჭვული ბავშვებიც არიან.

შედეგად ერთ-ერთმა არასრულწლოვანმა თვითმკვლელობაც ცადა.

შემზარავი ისტორიის მთავარი გმირი არასრულწლოვანი ბიჭია. მიზეზი, რის გამოც ბავშვთა სახლის ბენეფიციარმა თვითმკვლელობა ცადა, ძალადობაა.

„კურიერის“ მიერ მოპოვებული ვიდეომასალიდან ირკვევა, რომ პრობლემა სისტემურია და ბავშვთა სახლის მხოლოდ ერთ ბენეფიციარს არ ეხება.

გიორგი ზაქუტაშვილი, რომელზეც სავარაუდო ძალადობის მსხვერპლი დაუფარავად საუბრობს, ბავშვთა სახლის თანამშრომელია. 40 წლამდე მამაკაცი დაწესებულების დარაჯია. ბრალდების მთავარი ადრესატი და ძალადობაში მხილებული პირი ფაქტს უარყოფს.

ისტორიები, რომლებსაც ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ყვებიან, სიახლეა დაწესებულების ხელმძღვანელისთვის. მაია ჩიტაიშვილი მომხდარს ვერ უარყოფს, თუმცა ფიქრობს, რომ მსგავსი ფაქტების არსებობის შემთხვევაში მას გარკვეული ინფორმაცია ექნებოდა.

ძალადობის მიმართულებით გარკვეული პრობლემები კოჯრის ბავშვთა სახლში სახალხო დამცველის აპარატის დაუგეგმავმა მონიტორინგმაც გამოავლინა. კოჯრის ბავშვთა სახლში ომბუდსმენის შესაბამისი სამსახური დაახლოებით 3 თვის წინ იმყოფებოდა. „კურიერის“ მიერ მოპოვებული ვიდეომასალის გაცნობის შემდეგ კი აპარატი კონკრეტული საკითხის შესწავლას დაიწყებს.

ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტრომაც. თავდაპირველად გამოძიება 126-ე, ძალადობის მუხლით დაიწყო. „კურიერის“ მიერ მოპოვებული ვიდეომასალის გავრცელების შემდგომ, არ არის გამორიცხული, დანაშაული სქესობრივი დანაშაულის მუხლით გადაკვალიფიცირდეს.

# სუსმა დააკავა 2 პირი, რომლებიც რადიოაქტიურ მასალას ქუთაისში 300.000 ევროდ ყიდდნენ



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, რადიოაქტიური ნივთიერების უკანონო რეალიზაციის მცდელობის ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

აღნიშნული პირები ქალაქ ქუთაისში რადიოაქტიური მასალის გასაღებას 300.000 ევროს სანაცვლოდ გეგმავდნენ, როდესაც ისინი დააკავეს.

რადიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ამოღებული კონტეინერი შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერება ამერიციუმ 241.

რადიოაქტიურ ნივთიერებებთან და მავნებელი გამოსხივების სხვა წყაროებთან მუშაობის ძირითადი სანიტარიული წესების (რუნ 2000) საფუძველზე გამოკვლეულ კონტეინერზე დაფიქსირებული რადიოაქტიური გამა გამოსხივების დოზის სიმძლავრისა და თვით წყაროს რაობის გათვალისწინებით, მასთან უშუალო ხანგრძლივი კონტაქტი საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც რადიოაქტიური ნივთიერების უკანონო მოპყრობას გულისხმობს.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი.

# მინდია გოგოჭურს სასტუმრო „პარაგრაფში“ ჩხუბისთვის 4 წელი მიესაჯა

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის სიძეს, მინდია გოგოჭურს, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.



ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებაში, ძალადობაში, პოლიციის თანამშრომლების მიმართ წინააღმდეგობის გაწევაში და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა– შენახვაში ბრალდებული მ.გ. დამნაშავედ ცნო.

2020 წლის 18 ივლისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში, შეკვეთილის დასახლებაში მდებარე სასტუმრო „პარაგრაფში“ მ.გ.-ს შელაპარაკება მოუვიდა გ.ბ.-სთან, რის გამოც განაწყენებულმა მ.გ.-მ ცეცხლსასროლი იარაღით, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ინახავდა, ფიზიკური ძალადობა განახორციელა გ.ბ.-ს მიმართ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა მ.გ. 2020 წლის 19 ივლისს ქ.ბათუმში დააკავეს. დაკავებისას მ.გ.-მ წინააღმდეგობა გაუწია მის დასაკავებლად მისულ შსს-ს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს პ.ხ.-ს, მ.გ.-ს, ს.ს.-ს და ზ.მ.-ს და სახის არეში ზ.მ.-ს დაზიანება მიაყენა.

მ.გ.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა მაკაროვის მოდელის 9 მმ კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღი და 5 ვაზნა, ასევე დიდი ოდენობით 0,648 გრ ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ მ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# თბილისში 2 წლის გოგონა ლობიოს მარცვალმა დაახრჩო

თბილისში, ისნის რაიონში, მოსკოვის გამზირზე, უბედური შემთხვევა მოხდა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, უბედური შემთხვევის შედეგად 2 წლამდე ბავშვი გარდაიცვალა.

როგორც საინფორმაციო სააგენტოს ოჯახის ახლობლები უყვებიან, ბავშვს მოუხარშავი ლობიოს მარცვალი გადასცდა. მათივე თქმით, 2 წლამდე გოგონა კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

— წაიყვანეს კლინიკაში და გაუკეთდა ოპერაცია, მაგრამ გული გაუჩერდა. ფილტვში იყო უკვე გადასული ლობიოს მარცვალი, — უყვება ოჯახის ახლობელი „ინფო რუსთავს“.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „თვითმმართველობის არჩევნებზე ვადამდელი საპარლამენტოს მიბმა უაზრობაა“

## თაკო ჩარკვიანი: „გახარიასა და ივანიშვილის უკან რუსეთი დგას“

იაგო ნაცვლიშვილი

**„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „კანონი და სამართლის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– „ქართული ოცნების“ მხრიდან კომპრომისული შემოთავაზებასავით იყო, როცა გააკეთეს დათქმა, თუ 40%-ს ვერ აიღებენ, მაშინ იმსჯელებენ ვადამდელზე. გასაგებია, რომ ხელს არ მოაწერთ, მაგრამ მსჯელობისთვის თუ ხართ მზად?***

– როგორ არა, მაგრამ სულ ვამბობ, რომ ეს მსჯელობა გამჭვირვალე უნდა იყოს. პროცესი როცა დახურულია, მე არ მომწონს, მაგრამ ასე მოხდა. რაც უფრო ღიაა პროცესი, მით უკეთესია.

40%-ს კი არა, რატომ არ მიიღებენ 140%-ს?! თუ რეფორმა არ მოხდა, ასე იქნება. არსად არ არის ამაზე საუბარი.

***– შარლ მიშელმა ახალი დოკუმენტი გამოგზავნა და, თუ „ოცნება“ 43%-ს ვერ მიიღებს თვითმმართველობის არჩევნებზე, მაშინ ვადამდელი არჩევნები ინიშნება. გიორგი ვაშაძისთვის მისაღებია ეს. თქვენ იმავე პოზიციაზე რჩებით თუ თქვენც შეიცვალეთ აზრი?***

– ეს გიორგის პოზიციაა. რა ინფორმაციაც ახლა მაქვს, იქ არ არის იქ შეტანილი ის, რაზეც ვისაუბრეთ. ის ორი პუნქტი, რაზეც ამბავი მოხდა, შეტანილი არ არის. ჯერჯერობით ეს ინფორმაცია მაქვს.

საინტერესოა დეტალები, მაგალითად, კეთდება ეს ყველაფერი რეფორმირებული საარჩევნო კოდექსით თუ არა. დავუშვათ, დაინიშნა, მაგრამ, თუ რეფორმირებულით არ ხდება, მერე რას ვშვრებით მაგაზე?! იგივე გამოვა და ცოტა სასაცილო მდგომარეობაშიც კი ალმოვჩნდებით, რომ არარეფორმირებული საარჩევნო ადმინისტრაციითა და კოდექსით ჩატარდეს არჩევნები. აგერ რამდენიმე თვეშია ადგილობრივი არჩევნები. ამიტომ ეს ნიუანსებია, რაც ძალიან ბუნდოვანია. პირდაპირ გეტყვით, ჩემთვის არაფერი ახალი და მნიშვნელოვანი არ გამოჩენილა.

აშშ-ის სენატის მხრიდან პირდაპირ დაიწერა, რომ საქართველოს სასამართლოში კლანია და ოლიგარქია მძლავრობს. ეს რას ნიშნავს?

***– კი, ეს თქვეს, მაგრამ, ისიც თქვეს, რომ ოპოზიცია უნდა იყოს პარლამენტში.***

– უცხო ქვეყანა ამაზე მეტს რას გეტყვის? ის ხომ არ გეტყვის, უბედურება თუ გჭირს, შენ როგორ მოიქცე. ამას თავად უნდა მიხვდე.

***– შეიძლება, არ თქვან, მაგრამ არც ის გითხრან, შედით პარლამენტშიო.***

– ამაზე მეტს ვერავინ ვერაფერს გეტყვის. ფრაზა, სასამართლოში კლანია და ოლიგარქიული მმართველობაა, ნიშნავს, რომ ხელისუფლება უზურპირებულია ოლიგარქის მიერ. სასამართლოში კლანი კი იმას ნიშნავს, რომ კორუმპირებულია სასამართლო. ახლა კითხვას ვსვამ, თუ საკანონმდებლო ორგანო უზურპირებულია ოლიგარქის მიერ, იქ რომ შეხვალ, რას ცვლი უზურპირებულ პარლამენტში?

ამიტომ მაქვს აჩემებული მართლმსაჯულების რეფორმა, რაც თავის თავში სასამართლოსთან ერთად პროკურატურასაც მოიცავს. ამას ისიც ემატება, რომ ამ საკანონმდებლო ორგანოში ისიც კი ვერ მოუხერხებიათ, რომ ვიღაცამ რაღაცა ამოიწკმუტუნოს, როდესაც კოლეგის დაჭერას ეხება საქმე.

***– კი მაგრამ, ოპოზიცია ხომ ამბობდით, რომ იმ საკითხზე იყო წინასწარი შეთანხმება. დღეს ესეც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას?***

– კი, ასეთი შეთანხმება არსებობს, მაგრამ არავის არასდროს უთქვამს, რომ ორი უმთავრესი საკითხის გარეშე რამეზე ხელს მოვაწერდით.

***– არა, სხვა რაღაცას ვკითხულობ. ამბობთ, რომ მსჯელობა შესაძლებელია, მაგრამ, თუ ამ 3 საკითხზე შეთანხმება მიღწეულია, მაშინ რა უშლის ხელს, ვადამდელის შემოთავაზებულ ვერსიაზე დაიწყოს მსჯელობა და ახალი დოკუმენტი დაიდოს?***

– ამაზეა საუბარი ზუსტად და ამაზე არ მოდიან.

***– ფრაგმენტულად საუბრობენ რაღაცებზე, მაგრამ ერთ მთლიანობაში არ განიხილავენ?***

– რა თქმა უნდა. როგორც კი პაკეტზე მივდივართ, აღარ ეთანხმებიან, იმიტომ რომ ერთმანეთზეა გადაბმული.

აი, მაგალითად, ოპოზიციამ თქვა, კომპრომისიო და ვადამდელამდე მისასვლელ გზას დავთანხმდეთო, საუბარი იყო პლებისციტზე, მაგრამ, თუ რეფორმა არ მოხდა, პლებისციტს ვერ გააყალბებს?! ჟვანიაზე ლაპარაკიც კი არ არის.

***– თქვენც არ საუბრობთ ოპოზიცია და რატომ?***

– როგორ არ ვსაუბრობთ. ყველა შეხვედრის დროს ამაზე საუბარია, მაგრამ არ მოდიან. თუ შენ რეფორმირებული სისტემით არ გააკეთე, აზრი არ აქვს. ეს ეხება ყოფილ ხელისუფლებასაც. მათაც არ გააკეთეს სამართლებრივი რეფორმები, თორემ უკეთეს დღეში იქნებოდნენ. ვერ უნდა მიხვდნენ ესენი მაინც, რომ გააკეთონ რეფორმები? შემდეგ მათთვისვე იქნება უკეთესი და წინ დახვდებათ, მაგრამ ახლა მიდის მოპარული ბიუჯეტიდან კორუფციულად მოპარული ქონების გადაფარვა. ამიტომ ეშინიათ. მაგრამ, თუ ამ რეფორმებს გააკეთებენ, კარგი ისაა, რომ არც ერთ პარტიას ექნება რევანშის უფლება და საშუალება. ამაზე უკეთესი რა შეიძლება სახელმწიფოში ინატრო?! ამას უნდა მივაღწიოთ, ამისთვის შემოვედი პოლიტიკაში და ამიტომ ვარ ქვა და რკინა. სახელმწიფოში ნომერ პირველი ღალატი კორუფციაა. ამ კორუფციით ნაშოვნი ქონების გამოა, ქვეყანას რომ ყიდიან. კორუფციის აღმოფხვრა შესაძლებელია 24 საათში.

***– როგორ?***

– შიში შეიქმს სიყვარულსაო, ხომ მოგისმენიათ? შიში ამ შემთხვევაში რიდია. აქ საუბარი არ არის, რომ დაიჭირე და კედელთან მიაყენე. ათასნაირი მექანიზმი არსებობს, რომ მწყობრში მოიყვანო ეს ყველაფერი. ეს არ გაიგოს ვინმემ ისე, რომ ახალი ხელისუფლება დაიჭერს ვიღაცებს და რეპრესიებს გავატარებთ. არა, პირიქით. ვიღაცას 900 მილიონი თუ გატანილი აქვს, ბუნებრივია, კანონმა უნდა განსაჯოს, მაგრამ რევანშის საშუალება არავის ექნება. იმიტომ ვაწვები კოალიციურ მთავრობას. რევანშიზმი დამღუპველია, მაგრამ კანონის მიხედვით და თავისუფალი სასამართლოს საშუალებით უნდა გადაწყდეს ყველაფერი.

ახლა ფეიკპარტიების შემოგდება დაიწყეს. გახარია, 20 ივნისის ავტორი, როგორ უნდა ბედავდეს პოლიტიკაზე ლაპარაკს?! თუ პასუხისმგებლობას მოიხსნის და ვინმეზე იტყვის, იმან გააკეთა და მე არაო?!

***– ოპოზიციის ნაწილმაც ხომ არ აქცია გმირად მისი ბოლო გადაწყვეტილების შემდეგ?***

– მე ეს არ მითქვამს მაშინაც. ხომ გახსოვთ, ჩემთან გქონდათ ინტერვიუ და მაშინაც გამოვრიცხე მასთან თანამშრომლობა.

***– თქვენზე არ ვკითხულობ. თქვენ რომ გეთქვათ, პირდაპირ გეტყოდით.***

– მე თავიდანვე სწორად გამოვიცანი მათი გეგმა. ახლა ძალიან ცუდ დღეში არიან. კიდევ წამოვიდნენ პარტიიდან ვიღაცები, იშლება პარტია. გარკვეულ ადამიანებს ჩაყოლა აღარ უნდათ და, ვინც როგორც ახერხებს, ისე მოდის ამ პარტიიდან.

***– გახარია ივანიშვილისგან მართულია თუ უფრო ზემოთ გადაწყდა „ოცნების“ მისით ჩანაცვლება?***

– ფეიკპარტიები პირდაპირ რუსეთიდან იქმნება ხოლმე, თუმცა ივანიშვილიც პუტინია. არის პერიოდი, როდესაც ამათ ერთმანეთი, შესაძლოა, აწყობდეთ ზუსტად იმ გადამალული ქონების გამო. ორივეს უკან რუსეთი დგას. ბუნებრივია, ამ სიტუაციაში ივანიშვილი დასაყრდენს ოპოზიციაზე მეტად იმ თავის სიტუაციაში ეძებს. შესაძლოა, გახარიას ვიღაცაზე მეტი რეიტინგი აქვს, მაგრამ ერთ ხმას ვერ წაიღებს ოპოზიციიდან. ის ხმებს წაიღებს „ოცნებიდან“. ახლა მისი რეიტინგი ქვემოთ ჩამოვა.

ვითხოვთ, ნამახვანჰესზე გასაჯაროვდეს დოკუმენტი. ვერ წარმოიდგენთ, რა დოკუმენტია. 99 წლით არის გასხვისებული მიწა და უნდა ამოიკითხოთ, რა პირობებზე აქვს ხელი მოწერილი.

***– ჰესი უნდა აშენდეს თუ არა? ვგულისხმობ ზოგადად ჰესების თემას და არა იმას, თუ, ვთქვათ, ამ შემთხვევაში რაღაც კაბალური ხელშეკრულებაა დადებული.***

– საქართველოს ბუნება ისეთია, რომ სადღაც რაღაცები ვერ კეთდება. ზოგან ნიადაგი არ უწყობს ხელს, ეკოლოგიურად არ შეიძლება და ა.შ. ეს არის სამეცნიერო თემა. ვიღაცა იტყვის, დასკვნა თუ დაიდებაო, მაგრამ, როგორ დაიდება, როდესაც სასამართლოში კლანი და ოლიგარქიული მმართველობა გაქვს, მაშინ დასკვნას როგორ ვენდო.

***– ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ისიც მესმის, რომ ჰესების თემა სენსიტიურია ქართველებისთვის, მაგრამ რატომ ვერ მოვახერხეთ ამ მასშტაბის აქციის გაკეთება მურუსიძე-ჩინჩალაძეების წინააღმდეგ? დღეს ხომ არ გვექნებოდა ასეთი მდგომარეობა თავისუფალი სასამართლოს შემთხვევაში, თუნდაც ამ ჰესებთან მიმართებით?***



**„თუ რეფორმები არ გაატარეს, „ოცნება“ 40%-ს კი არა, 140%-ს არ მიიღებს?!“**

– აბსოლუტურად გეთანხმებით. ხშირად თქვენ და მე ერთ აზრზე ვართ. ვერ ვტოვებ სამოქალაქო საზოგადოების პოზიციას და, მგონი, ასე უნდა იყოს. პოლიტიკოსი რომ სხვანაირად უნდა ლაპარაკობდეს, ეს არის 30-წლიანი ნათალლითარი პოლიტიკოსების შექმნილი.

***– თანამშრომლობის თემას რომ დავუბრუნდეთ და დაზუსტებისთვის გკითხავთ, რაც თქვა „ოცნებამ“ თვითმმართველობის არჩევნებზე, რომ თუ 40%-ზე ნაკლებს აიღებენ, მაშინ იმსჯელებენ ვადამდელზე. ამაზე ოპოზიციაში გაკეთდა განცხადებები, რომ არაფრით შეიძლება ამაზე მიბმა. თქვენ არ გაქვთ ასეთი რადიკალური პოზიცია და, თუ სხვა საკითხებზე შეთანხმება მოხდება, ამაზე მსჯელობისთვის მზად ხართ?***

– არა, რადიკალური ჰქვია თუ რა, არ ვიცი, მაგრამ ამის გაკეთება არ შეიძლება. მარტივად აგიხსნით. ადგილობრივ არჩევნებზე რაიონს ჰყავს გამორჩეული ადამიანი და ხშირად ხდება ეს. არიან რეგიონებში აქტიური და მშრომელი ადამიანები, რომლებსაც პატივს სცემენ. ვთქვათ, ის დააყენა კანდიდატად „ოცნებამ“ და აირჩიეს ამის გამო. ახლა გეკითხებით, რა კანონით ავალდებულებ ხალხს, რომ საპარლამენტო არჩევნებზეც მმართველ პარტიას უნდა მისცე ხმა? ეს არის სამართლებრივი ნონსენსი, რაზეც პასუხი არ აქვთ.

თვითმმართველობის არჩევნებზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა-არდანიშვნის საკითხის მიბმა არაფრით არ შეიძლება.

# „პატარა პარტიები პარლამენტში უნდა შევიდნენ“

## ვახტანგ ძაბირაძე: „თუ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება, პატარა პარტიები უნდა შეუერთდნენ ნაციონალურ მოძრაობას და ერთ დიდ ბლოკად გამოვიდნენ“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ, „ქართულმა ოცნებამ“ რატომ შეცვალა გადაწყვეტილება, რატომ აწერს ხელს დანიელსონის შემოთავაზებას? კობახიძის ვაშინგტონში ვიზიტს ხომ არ უკავშირდება?***

– გამიკვირდა, თავის დროზე რატომ არ მოაწერეს ხელი. ეს აუხსნელი დარჩა დოკუმენტში, სადაც ნახსენები არ არის რიგგარეშე არჩევნები. როგორც ჩანს, პოზიციები ვაშინგტონში გადაამოწმეს. ხელისუფლება ვალდებული იყო, ამ კომპრომისზე წასულიყო. ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს, რომ ის თვითდაჯერებულია და ამას პარტნიორებთან ერთად აკეთებს. ეს მესიჯი უნდა გაჯდეს საზოგადოებაში, რაც საზოგადოებას სჭირდება.

***– ამ შემთხვევაში რა პოზიციაშია ოპოზიცია?***

– ამ ეტაპზე ჩავთვალოთ, რომ ხელისუფლებას პრობლემები, ფაქტობრივად, მოხსნილი აქვს. პრობლემები რჩება ოპოზიციას. ოპოზიცია მარტო დარჩა. ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლება ჰქონდეს, არის მასობრივი საპროტესტო აქციები, თუმცა ისეთ მასობრივ აქციებს ვერ ააგორებს დღევანდელი ოპოზიცია, როგორიც 2007-2009 წლებში იყო. ყველას გვახსოვს კარვების ქალაქად ქცეული თბილისი, მაგრამ მაშინდელ ხელისუფლებას მაინცდამაინც დიდად თავი არ შეუწუხებია, არც დღევანდელი ხელისუფლება შეიწუხებს მაინცდამაინც თავს. ამიტომ საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ალმოჩნდება ოპოზიცია.

***– თუ დოკუმენტს ხელს არ მოაწერენ, დასავლეთის ზეწოლა გაგრძელდება?***

– ცხადია, გაგრძელდება. დასავლეთიდან ამაზე უკვე ისმის მინიშნებები, თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ გადამწყვეტი იქნება 15 მაისი. თუ ოპოზიცია შეძლებს ძალიან დიდი, მასშტაბური აქციის ორგანიზებას, შანსი არის ვადამდელი არჩევნების დანიშვნის, მაგრამ ეს იქნება შანსი არა იმდენად წვრილი პარტიებისთვის, რამდენადაც ნაციონალური მოძრაობისთვის. ჩათვალეთ, ამომრჩევლის აბსოლუტური უმრავლესობა მაინც ნაციონალური მოძრაობისკენ წავა. მერყევი ამომრჩეველი ყოველთვის ძლიერს ირჩევს, რაც არ უნდა არ მოსწონდეს.

თუ ოპოზიცია მასშტაბური აქციის ორგანიზებას ვერ შეძლებს, მაშინ ქუჩაში ყოფნას არანაირი აზრი არ აქვს.

ოპოზიცია არაერთგვაროვანია. არიან პარტიები, რომლებმაც 1%-იანი ბარიერი ვერ გადალახეს, არიან პარტიები, რომლებმაც 3-4%-მდე აიღეს და არის ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა. ამიტომ არ შეიძლება, მათ ერთი და იგივე სტრატეგია ჰქონდეთ. ნაციონალური მოძრაობისა და იმ პარტიების სტრატეგია, რომლებმაც ვერ გადალახეს 1%-იანი ბარიერი, შეიძლება, თანხვედრაში იყოს, მათ ბოიკოტი გამოუცხადონ შედეგებს და ეს სტრატეგია შეიძლება მათ ამომრჩევლებსაც აწყობდეთ, მაგრამ, რაც შეეხება პარტიებს, რომლებმაც 5%-მდე აიღეს, მათ განსხვავებული პოლიტიკა უნდა ჰქონდეთ. დღეს ვინც ბოიკოტის რეჟიმშია, ყველა ნაციონალური მოძრაობის ორბიტაზე ალმოჩნდა. ეს მათ უნდათ თუ არ უნდათ, ასეა, რაც არ უნდა იძახონ, განსხვავებულები ვართო. ჩამოყალიბებული ელექტორატის პირობებში ეს იმდენად არ იქნებოდა პრობლემა, რამდენადაც დღეს არის, როდესაც ელექტორატის აბსოლუტური უმრავლესობა ჩამოუყალიბებელი და გადაუწყვეტელია.



***– ოპოზიციამ რა უნდა შეცვალოს თავის ქმედებაში?***

– ასე თუ გააგრძელებენ, პერსპექტივა ნულის ტოლი იქნება. თუ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება, ეს პარტიები უნდა შეუერთდნენ ნაციონალურ მოძრაობას და ერთ დიდ ბლოკად გამოვიდნენ, როგორიც „ძალა ერთობაშია“ გამოვიდა ამ არჩევნებზე. რა თქმა უნდა, უნდა დასთანხმდნენ მანდატების იმ რაოდენობას, რამდენსაც ნაციონალები გაიღებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ პროცენტსაც ვერ აიღებენ, რაც დღეს აქვთ. ეს რიგგარეშე არჩევნების პირობებში. აღარაფერს ვამბობ არჩევნებზე, რომელიც 2024 წელს არის და, თუ 5%-იანი ბარიერი ამოქმედდა, ჩათვალეთ, ეს პარტიები პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრებიან. ეს არის რეალობა, ვინმეს მოსწონს თუ არა.

ამიტომ ვამბობ, რომ პატარა პარტიები, რომლებმაც ბარიერი გადალახეს, პარლამენტში უნდა შევიდნენ. თუ მათ თავის დამკვიდრება და პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობა უნდათ, ეს უნდა გააკეთონ, პარლამენტის ტრიბუნა უნდა გამოიყენონ. ამ შესაძლებლობაზე უარი არ უნდა თქვან.

ყოველთვის იყო იმაზე საუბარი, რომ „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის მიზანი შუის გაკაფვა იყო. ვულოცავ პატარა პარტიებს, მათ შეძლეს ამის გაკეთება. დღეს ასეთია პოლიტიკური მოზაიკა, ვინმეს ეს მოსწონს თუ არა.

***– გახარია აურევს ამ მოზაიკას?***

– რა გითხრათ! პოტენციური ამომრჩეველი არსებობს. შეძლებს მის მიმხრობას?! ეს ძალიან ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ვნახოთ. სწორი ნაბიჯებია საჭირო. ბევრი ნიუანსია. როდესაც პარტიის შექმნას იწყებ, არ არის აუცილებელი, განაცხადი გააკეთოს ექვსმა დეპუტატმა, რომელთაც საზოგადოება არ იცნობს და პოლიტიკური კაპიტალი საერთოდ არ აქვთ.

# „ოპოზიციამ დამღალა, არ მაინტერესებს, პარლამენტში ვინ შევა და ვინ — არა“

## თორნიკე შარაშენიძე: „გახარია ორი წელი იძახდა, 20 ივნისი ჩემი გაკეთებულია, ჩემს თავზე ვიღებო, მერე უცებ ტირილს ვერ დაიწყებს, მაიძულესო“



**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

ნონა ცაბაძე

***— ბატონო თორნიკე, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის მოვლენებთან დაკავშირებით? კვირის მიწურულს „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, ხელი მოეწერა შარლ მიშელის დოკუმენტისთვის. ეს ყველაფერი დაემთხვა ირაკლი კობახიძის ვიზიტს ამერიკაში. ითქვა, რომ იქ კობახიძეს თითი დაუქნიეს. ასეა?***

— რა იყო, არ ვიცი ნამდვილად, მაგრამ დამთხვევები იშვიათია. მხოლოდ დამთხვევას ვერ დავაბრალებთ. არის აქ რაღაც კავშირი. უკეთესი იქნებოდა, „ოცნებას“ თავიდანვე რომ მოეწერა ხელი და არ გაჯიუტებულიყო.

***— უფრო მოგებული დარჩებოდა?***

— კი, თუმცა მაინც მოგებული რჩება. მე არ ვიცი, რა მოხდა კობახიძის ვიზიტის დროს ამერიკაში, მაგრამ აქ ერთი რაღაცა გავითვალისწინოთ, „ოცნებამ“ როცა განაცხადა ამ დოკუმენტზე ხელის მოწერის შესახებ, მან უკვე იცოდა, რომ ნაცმოძრაობა არ მოაწერდა ხელს.

***— ოპოზიციას მინუს ნაცმოძრაობა, ამ შედეგს ხომ არ მივიღებთ?***

— ამ შედეგს თუ მივიღებთ, ეს „ოცნების“ დიდი გამარჯვებაა, თავისთავად ცხადია. „ოცნებამ“ უკვე კარგად იცოდა, რომ ნაცმოძრაობა და ბოკერია არ მოაწერდნენ ხელს. ბოკერიას ვამბობ იმიტომ, რომ „ევროპულ საქართველოში“ მეტი არავინ დარჩა. „ოცნება“ წაუგებელ თამაშს თამაშობდა, მოაწერა ხელი, რას კარგავს? არც არაფერს.

***— „გირჩმა“ განაცხადა, რომ დღეიდან პარლამენტში შედის.***

— „გირჩმა“ მანამდე განაცხადა, სანამ „ოცნება“ განაცხადებდა თანხმობას ხელმოწერაზე. როგორც არ უნდა შევხედოთ, „ოცნებამ“ წაუგებელი თამაში ითამაშა. არაფერს წააგებს ამით. დღეს ჩვენთვის, საზოგადოებისთვის მთავარია, რამდენად შესრულდება ის რეფორმები, რომლებიც გაწერილია ამ დოკუმენტში. ეს არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი და არა ის, კიდევ ვინ შევა და ვინ არ შევა პარლამენტში. ეს, პირადად მე სულ არ მაინტერესებს. მე მაინტერესებს სასამართლოს რეფორმა და ასე შემდეგ.

***— როგორ ფიქრობთ, „გირჩს“ დაემატებიან სხვა ოპოზიციური პარტიებიც?***

— დიდი შანსია, ასე იყოს. მე ნამდვილად არ მესმის, ამ სიტუაციაში პატარა პარტიები რატომ არ უნდა შევიდნენ, თუნდაც პარტია ალმაშენებელი. ძალიან გამიკვირდება, რომ არ შევიდნენ. საქართველოში გასაკვირი არაფერია, მაგრამ ლოგიკურად უნდა შევიდნენ. იგივე ალმაშენებელი, ვიცით, რომ ხელისუფლებაში ვერ მოვა და საპარლამენტო ტრიბუნას რატომ კარგავს?! კიდევ როდის მიეცემათ პატარა პარტიებს ასეთი შანსი. თუ ესენი პარლამენტში არ შევიდნენ, 2024-სთვის კონსტიტუციაში შევა ცვლილებები და იქნება პროპორციული არჩევნები? საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო ხმები თუ არ მოგროვდა, როგორ გაატარებენ ამ ცვლილებებს.

***— ანუ, შესაძლოა, ნაციონალური მოძრაობა საერთოდ თამაშგარე დარჩეს?***

— თამაშგარე რა, ქუჩაში რჩება. თუმცა ნაცმოძრაობას ჯერჯერობით მაინც ეყოლება მხარდამჭერები, სანამ სააკაშვილი არსებობს.

***— ბოკერიაც ნაცმოძრაობის მხარეს აღმოჩნდა? მის თამაშს თამაშობს?***

— მის თამაშს რამდენად თამაშობს, არ ვიცი, მაგრამ თანამოაზრეები ნამდვილად არიან. ამ ეტაპზე დაემთხვა მათი ინტერესები. შეიძლება, იმიტომაც დაემთხვა, რომ თვითონ ბოკერია პარლამენტში მაინც ვერ შედიოდა, ვერ მოხვდა გამსვლელ სიაში.

***— ბოკერიასგან წამოსულებზე რას ფიქრობთ, მათგან ვიხილავთ რომელიმეს პარლამენტში?***

— მართალი გითხრათ, ვიღაც— ვიღაცებისგან ნამდვილად არ გამიკვირდება. თუ შევლენ, აუცილებლად გეტყვით, მათ ვგულისხმობდი თუ არა.

***— კვირის მიწურულს ასევე საინტერესო პოლიტიკური პროცესის მომსწრენი გავხდით, გიორგი გახარიამ „ოცნებიდან“ წამოსული დეპუტატებისგან პარლამენტში ახალი ფრაქცია შექმნა. რას ფიქრობთ გიორგი გახარიას ნაბიჯებზე?***

— გააჩნია, რა მიზანი აქვს გიორგი გახარიას. თუ მისი მიზანია, პარლამენტში ჰყავდეს დასაყრდენი და რაღაც პატარა ფრაქცია ჰქონდეს, ამ ეტაპზე, კი ბატონო, ჰყავს, თუმცა, რამდენად შენარჩუნდება ეს სიტუაცია თუნდაც არჩევნებამდე? შემდეგ არჩევნებზე შეინარჩუნებს იმავე სიტუაციას? ასე რომ, ჯერჯერობით ეს არაფერს ნიშნავს. რას იზამს ის 2024-მდე, ჯერჯერობით არ ვიცით, გაზრდის თუ ამასაც დაკარგავს, გააჩნია, რა ხალხს აკრეფს. გააჩნია, თვითონ როგორ მოიქცევა, რას იტყვის, რა განცხადებებს გააკეთებს, ასევე ფულს თუ იშოვის, რადგან ესეც ძალიან მნიშვნელოვანია.

***— ახლად შესული ოპოზიცია ითანამშრომლებს გახარიას ფრაქციასთან პარლამენტში და სულაც ხომ შეიძლება, ერთ დიდ ფრაქციად ვიხილოთ?***

— ზოგადად, „გირჩი“ ძალიან თავისუფალი ფორვარდია, რას იზამს, ღმერთმა უწყის, რთული სათქმელია. გახარიას ამ ეტაპზე რასაც ვუყურებთ, ასეთი ხაზი აქვს არჩეული, პროსახელმწიფო, მაგრამ — ოპოზიციური. ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილება, მე მგონი, არ იქნება ასე მარტივი სხვა პატარ-პატარა პარტიებისთვის.

***— მოვისმინეთ მისი გუნდის განცხადებები პარლამენტში. ბევრს ეგონა, რომ ისრებს ხელისუფლებისკენ გაისროდნენ, თუმცა არც 20 ივნისის სიმძიმეს გაექცნენ და არც ნიკა მელია აღიარეს პოლიტპატიმრად.***

— ძალიან თანმიმდევრული ნათქვამი იყო. თავის დროზე გახარიამ 20 ივნისი თავის თავზე აიღო და ახლა გამოვიდნენ და თქვან, 20 ივნისი ცუდი იყოო, ძალიან უაზრობა გამოდის. შესაბამისად, ამაში გასაკვირი არაფერი არ არის. რომ გამოსულიყო და ახლა ასე მაწყობსო, ეს არაკაცური საქციელი იქნებოდა. ორი წელი რომ იძახი, ჩემი გაკეთებულია, ჩემს თავზე ვიღებო, მერე უცებ წახვიდე და ტირილი დაიწყო, მაიძულესო, არ არის ეს ნორმალური. ბევრს კი გაუკეთებია, სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში მსგავსი რამ, ჩვენ ეს საქციელი ხომ არ მოგვწონებია!

***— ანუ ამით საზოგადოების თვალში ქულები არ დაკარგა გახარიამ?***

— არა, პირიქით. თანმიმდევრულობა უნდა დაფასდეს პოლიტიკაში. ეს არ უნდა დავუკარგოთ, რომ თავის გაკეთებულზე უარს არ ამბობენ. ჯერჯერობით ეს ექვსი კაცი დიდი სერიოზული პოლიტიკური გუნდი არ არის, რაც ჩვენ ვნახეთ, მაგრამ, თანმიმდევრულობასა და პრინციპულობას რომ იჩენენ, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

***— მაინც რჩება კითხვები საზოგადოებაში, ეს ხომ არ არის „ოცნების“ შიგნით აღმოცენებული ახალი ოპოზიციური ძალა, რომელსაც თავადვე ივანიშვილი ქმნის?***

— მაგას ასე მარტივად ვერ გავიგებთ. ამას დრო გამოაჩენს. ამაზე წინასწარ სპეკულაციას მე არ დავიწყებდი არანაირად. ოპოზიციას რაც შეეხება, სიმართლე გითხრათ, ძალიან დავიღალე ამ პროცესით, შევლენ თუ არ შევლენ. სიმართლე გითხრათ, ეს სულ არ მაინტერესებს. მე მაინტერესებს და დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ შესრულდება ის ყველაფერი, რაც გაწერილია დანიელსონის გეგმაში. ეს არის ჩვენი მოქალაქეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. ვინ შევა და ვინ არ შევა, ამან ყველა დაგვღალა. მე მგონი, ისინი თავის თავზე ზრუნავენ და არა ხალხზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ეს რეფორმები გატარდება თუ არა. ერთი-ორი ოპოზიციონერი შევა თუ არა შევა, ამით საქართველო არც არაფერს მოიგებს და არც წააგებს.

# „ოცნებამ“ პარლამენტში შემთხვევითი ადამიანები მოიყვანა და შედეგსაც იმკის“

## სოსო შატბერაშვილი: „ჯობდა, „ქართულ ოცნებას“ დოკუმენტისათვის ხელი ადრევე მოეწერა“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ქართულმა ოცნებამ“ ხელი მოაწერა „დანიელსონის დოკუმენტს“, რომელიც ევროკავშირის მედიაციით შეიქმნა, მაგრამ მანამდე არც ხელისუფლებამ და არც ოპოზიციამ არ მოიწონა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.**

***— ოპოზიცია აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ მხრიდან მედიატორების მონაწილეობით შედგენილი დოკუმენტის ხელმოწერის მიუხედავად, პოლიტიკური კრიზისის განმუხტვა არ ხდება. რას იტყვით?***

— გავიხსენებ ჩემს სიტყვებს ამ თემაზე. „ახალ თაობასთანაც“ განვაცხადე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამ დოკუმენტს ცალმხრივად მაინც უნდა მოაწეროს ხელი. ბატონი დანიელსონი თბილისიდან მეორედაც გულგატეხილი წავიდა. სანამ წავიდოდა, მმართველი პარტია ამბობდა, პატარა შენიშვნები გვაქვსო. მაშინვე უნდა დაენებებინა თავი ამ შენიშვნებისათვის და მიეღო დოკუმენტი. ახლა რა გამოვიდა? ირაკლი კობახიძე იმყოფებოდა აშშ-ში. გამოვიდა, რომ მას შენიშვნები მისცეს და ხელისუფლება დათმობაზე წამოვიდა. „ფანჩატურის ოპოზიციისგან“ კონსტრუქციულობას არ მოველოდი.

***— რატომ?***

— არ ეტყობათ ნაციონალურ მოძრაობასა და მის ორბიტაზე შეყრილ პოლიტიკოსებს, რომ მოლაპარაკება და სტაბილურობა არ უნდათ?! ისიც კი თქვეს ადრე, რურუა და მელია რომ გამოუშვან, მაინც არ წამოვალთ შეთანხმებაზეო. ამათი მიზანი კრიზისის განმუხტვა კი არა, არეულობაა. ამის შესახებ ჩვენ, „მემარცხენე ალიანსმა“, წერილობით გავაფრთხილეთ უცხოელი პარტნიორები, საერთაშორისო ორგანიზაციები. ხდება ზუსტად ის, რის შესახებაც დასავლეთის ორგანიზაციები გავაფრთხილეთ.

***— რა ხდება? რის შესახებ აცნობეთ პარტნიორებს?***

— რადიკალურად განწყობილი ოპოზიციონერები ნაცმოძრაობის მეთაურობით ფინანსდებიან სააკაშვილისგან. სააკაშვილის გეგმებში არ შედის სტაბილურობა და სიმშვიდე. ჩვენ



გამოცდილი ხალხი ვართ და ამ პოლიტიკოსებსაც კარგად ვიცნობთ. სააკაშვილისა და კეზერაშვილის გარდა, ოპოზიციასა და მათ ტელევიზიებს მსუყედ ასპონსორებენ ნაყოფია, ჭყონია, ოქრიაშვილი. ოპოზიციონერები ყიდიან თავიანთ პრინციპებსა და სინდის-ნამუსს. ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს თავისი ამომრჩეველი. ამ პარტიასთან აფილირებულმა სხვა პარტიებმა კი თავიანთი გაუტანლობითა და გამყიდველობით ამომრჩეველი დაკარგეს. ისინი პოლიტიკურ მიცვალებულებად იქცნენ. ერთადერთი, ვინც ამ ოპოზიციიდან მეტ-ნაკლებად კონსტრუქციულ გზას ადგება, „გირჩის“ ის ნაწილია, სადაც იაგო ხვიჩია შედის. მანამდე პარლამენტში შევიდნენ „მოქალაქეები“.

***— პარტნიორებისთვის გაგზავნილ წერილებზე პასუხები არ მიგიღიათ?***

— არა. ერთადერთი, დაგვიმტკიცდა, რომ წერილები ადრესატებს ჩაჰბარდა. ჩვენმა მიმართვამ „ფანჩატურის“ ფლანგზე გაცოფება გამოიწვია. დაგვემუქრნენ კიდეც.

***— ვინ დაგემუქრათ?***

— უცნობი პირები გვირეკავდნენ. აბა, პოლიტიკური ლიდერები თვითონ ხომ არ დაგვემუქრებოდნენ! ვერ შეგვაშინებენ. ახლაც ვიტყვი, რომ ეს ხალხი 30 ვერცხლად გაიყიდა და ამას ქვეყანა ანაცვალა. საქართველო იქცა ერთადერთ სახელმწიფოდ მსოფლიოში, სადაც დეპუტატები პარლამენტში არ შედიან. 2008 წელს ამგვარ სულელურ ბოიკოტში სხვებთან ერთად მეც ვმონაწილეობდი. ამას ვნანობ. ახლანდელი ოპოზიცია მაშინდელ შეცდომას იმეორებს, ამ საკითხს სააკაშვილის მიზნებისთვის იყენებს.

***— პარლამენტში არშესვლა საბაბია?***

— რასაკვირველია. ამ ოპოზიციის გეგმით, ქვეყანაში უნდა იყოს არეულობა, ქაოსი, პარლამენტი არ უნდა იყოს სრულად დაკომპლექტებული. „გირჩის“ წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ოპოზიციამ ვერ წარმოადგინა საპარლამენტო არჩევნების გაყალბების მტკიცებულებები. შესულიყვნენ პარლამენტში, თუ მტკიცებულებები აქვთ, შეიქმნა სპეციალური კომისია და წარედგინათ იქ დოკუმენტაცია.

***— ნაციონალური მოძრაობის მოწინააღმდეგეებს ის აწუხებთ, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ძალაუფლებას ინაწილებენ. „დანიელსონის დოკუმენტშიც“ არის საუბარი ძალაუფლების გადანაწილებაზე, მათ შორის, პარლამენტის კომიტეტებში.***

— არა მგონია, ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში შევიდეს. ისე, „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ჯერ კიდევ 2012 წელს გარიგდნენ. საუბედუროდ, კოაბიტაციამ დაასამარა სამართლიანობის დამყარება. თუ გარედან გვთხოვდნენ, ყოფილიყო კოაბიტაცია, მაგრამ იმავდროულად სააკაშვილის რეჟიმის მძიმე დამნაშავეებიც დაესაჯათ, გამსახურდიასა და ჟვანიას მკვლელობები გამოძიებინათ! სააკაშვილი ამბობს, არც ერთი მაღალჩინოსნის მიმართ რეპრესიები არ გამიტარებიაო. აბა, მოლაშვილი (კონტროლის პალატის თავმჯდომარე), მირცხულავა (ენერგეტიკის მინისტრი) და ადეიშვილი (ტრანსპორტის მინისტრი) რომ დააპატიმრეს და ციხეში აწამეს, ის ვინ გააკეთა?! ირაკლი ოქრუაშვილი რომ დაიჭირა სააკაშვილმა, რეგიონებში ვიარეთ, ხალხი დავრაზმეთ, მოვაწყვეთ 7 ნოემბრის აქცია. ყველას გვახსოვს, რა ჩაიდინა მაშინ სააკაშვილმა, რომელიც შემდეგ გადადგა.

***— თქვენი ვარაუდით, რაც უნდა მოხდეს, ოპოზიციის ნაწილი პარლამენტში არ შევა?***

— „გირჩი“, ალბათ, შევა. სააკაშვილის მიზნებს ეს არ შეესაბამება. ამიტომ ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში შესვლას არასგზით არ დასთანხმდება. ვინც არის პარლამენტში, იმან უნდა იმუშაოს და მიხედოს ეკონომიკას, რეფორმებს.

***— გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის უმრავლესობის რღვევის ორგანიზატორი იქნება კალაძე, რომელიც დატოვებს მმართველ პარტიას.***

— ეს ჭორებია. თვითონ კახა კალაძეს ამის მსგავსი განცხადებები არ გაუკეთებია. ჭორებს ვერ დავადასტურებ. თუ ყველაფერი აირია და უმრავლესობაში საკმარისზე ნაკლები დეპუტატი დარჩა, მაშინ შეიქმნება კრიზისი და დადგება ვადამდელი არჩევნების საკითხი. არ ვიცი, რა იქნება — თუ ასეთი საჭიროება დადგა, უმჯობესი იქნება, საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნები ერთდროულად გაიმართოს. არჩევნების ჩატარება ოფიციალურად 40 მილიონ ლარზე მეტი ჯდება, არაოფიციალურად — სამჯერ მეტი. ერთდროული არჩევნებით თანხები დაიზოგება.

***— ჯერჯერობით „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა გახარიას 6-მა თანაგუნდელმა.***

— ახია მმართველ პარტიაზე. „ოცნებამ“ პოლიტიკასა და პარლამენტში ულირსი, შემთხვევითი ადამიანები მოიყვანა და ამის შედეგს იმკის. ის ხალხი, რომელიც ადრე გვერდით ედგა და რომელიც სააკაშვილს ებრძოდა, პოლიტიკის მიღმა დატოვეს, საარჩევნო სიაში ჩასვეს პირები, რომლებიც პოლიტიკასთან ახლოსაც არ ყოფილან, რომლებსაც არასდროს უბრძოლიათ, ჩვენსავით აქციებზე გაზით არ მოწამლულან. ზოგი მათგანი უცებ გუბერნატორი გახდა, შემდეგ — დეპუტატი, სხვები სხვა პროფესიებიდან აღმოჩნდნენ საკანონმდებლო ორგანოში. ეს ადამიანები პრინციპულობითაც არ გამოირჩევიან, ისევე, როგორც „ფანჩატურელები“. „ფანჩატურის ოპოზიციას“ ემსახურებიან სააკაშვილის ტელევიზიები. სააკაშვილი საქართველოში იყენებს დიდ ფულს, ასევე — მედიას. ნაციონალები სოციალურ ქსელებშიც აქტიურობენ, ასევე აქვთ დასავლეთის მხარდაჭერა.

***— დასავლეთის მხარდაჭერა?***

— მათ ლობისტებს ვგულისხმობ. აშშ-ის ადმინისტრაცია სააკაშვილს არც ტრამპის დროს უყურებდა კარგი თვალით, არც ბაიდენის დროს უყურებს. სააკაშვილი ტრაბახობდა, ტრამპს ვიცნობო, მაგრამ ტრამპმა ახლოს არ გაიკარა. ნაცმოძრაობა იმედს ბაიდენზე ამყარებდა. ფაქტია, რომ ბაიდენი სააკაშვილსა და მის მიმდევრებს მხარს არ უჭერს. საერთოდ, სააკაშვილი გაიშიფრა. ყველამ გაიგო, რომ ის პუტინის საქმეს აკეთებს.

# „საქართველოს ბანკზე“ თავდასხმისთვის ნიკა წურწუმიას ბრალი წარუდგინეს

„საქართველოს ბანკზე“ თავდასხმის გამო დაკავებულ ნიკა წურწუმიას 17 აპრილს ბრალი წარუდგინეს.

მას 236-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება მოეხსნა, რაც ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს. ადვოკატის განმარტებით, წურწუმიას ბრალად ედება ორი ან ორზე მეტი პირის მძევლად ხელში ჩაგდება.

– წურწუმია დუმილის უფლებას ამ დრომდე იყენებს. რაც შეეხება უშუალოდ იმას, რომ მისი ინტერესის ობიექტი არ ყოფილა არც ბანკი და არც შიგნით მყოფი პირები, ამას ცალსახად ამბობს პირად საუბრებში. გამოძიება თავიდან დაწყებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 144-ე მუხლებით. 236-ე მუხლი მოეხნა, იქიდან გამომდინარე, რომ ის, რაც მას ჰქონდა არ იყო ცეცხლსასროლი იარაღი, – განაცხადა ადვოკატმა.

გუშინ, 18 აპრილს, ნიკა წურწუმიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. პროცესი დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა.



პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 16 აპრილს, ქ. თბილისში, ნ.წ.-მ ხმოვანი პისტოლეტით, სს „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთ ექსპრეს სერვის ცენტრში, მძევლად ხელში ჩაიგდო აღნიშნული სერვისცენტრის ოთხი თანამშრომელი, სერვისცენტრის უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრატორი და საოპერაციო დარბაზში მყოფი სერვისის მომხმარებელი.

ნ.წ.-მ იარაღის გამოყენების მუქარით, ბანკში მყოფ პირებს შესასვლელი კარი ჩააკეტვინა და მათ თავისუფალი გადაადგილების უფლება შეუზღუდა, შემდეგ კი იარაღის გამოყენების მუქარით, იძულებით ერთ-ერთ თანამშრომელს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ის ცხელ ხაზზე დაარეკინა და მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ გარკვეული პირობები დააყენა.

„სამართალდამცველებმა ნ.წ. 16 აპრილს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „ი“ ქვეპუნქტებით (მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულოს ორგანიზაცია და პირი, შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ჩადენილი ორი და მეტი პირის მიმართ, სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ცხრიდან თოთხმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# „აცრაზე უნდა დალაპარაკებოდნენ და ასე დაიჭირეს“

## გიორგი მენაბდეს პატიმრობა შეეფარდა



დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად ჩადენილ მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი მენაბდეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა კლდიაშვილმა გამოაცხადა.

16 აპრილის სხდომაზე პროკურატურა გიორგი მენაბდისთვის პატიმრობის გამოყენებას, დაცვის მხარე კი მისი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდა.

საქმის პროკურორ მირიან მეგრელიშვილის განცხადებით, მენაბდის პატიმრობაში ყოფნის როგორც ფორმალური, ასევე ფაქტობრივი საფუძვლები, კერძოდ კი მიმალვის, ახალი დანაშაულისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე არსებობს. პროკურორის თქმით, გიორგი მენაბდემ სისხლიანი ტანსაცმელი გარეცხა, თუმცა, ექსპერტიზამ სისხლის დადგენა მაინც შეძლო.

მირიან მეგრელიშვილის თქმით, მსჯავრდებულ გუგა ბარბაქაძის ჩვენება მნიშვნელოვანია. მისივე განმარტებით, „ბარბაქაძე აქამდეც ამბობდა, რომ მენაბდე სარალიძეს ურტყამდა, ახლა კი ამ საგანს სახელი დაარქვა და თქვა, რომ დანას ურტყამდა“.

ადვოკატ დავით დადიანის განცხადებით კი მენაბდე უდანაშაულოა. ადვოკატის თქმითვე, გუგა ბარბაქაძემ რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ, „6 აპრილს გაიღვიძა და თქვა, რომ გიორგი მენაბდეს ხელში დანა დაუნახა“.

დადიანის განცხადებით, მთელი 3 წლის განმავლობაში გიორგი მენაბდეს ქვეყნიდან წასვლის საშუალება ჰქონდა, თუმცა მას ეს არ გაუკეთებია. ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს დაურეკეს და უთხრეს, რომ აცრასთან დაკავშირებით უნდა დალაპარაკებოდნენ და ასე დაიჭირეს.

დადიანი ეჭვქვეშ აყენებს მსჯავრდებულ ბარბაქაძის ჩვენებას. ის დაინტერესდა, თუ რატომ დაკითხეს ბარბაქაძე მაშინ, როცა მას არაერთხელ აქვს ჩვენება მიცემული და სამი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ძალაშია შესული.

პროკურორის განცხადებით კი ამ წლების განმავლობაში გამოძიება არ დასრულებულა და, ბარბაქაძის გარდა, ბოლო ერთ თვეში ათამდე პირი დაიკითხა.

# ქობულეთში ძმამ ძმა სანადირო თოფით მოკლა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში მკვლელობა მოხდა. ინციდენტი ძმებს შორის მოხდა, რომლის დროსაც ერთ-ერთმა ძმამ სანადირო თოფით ძმას ესროლა. ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ბრიგადას 40 წლამდე მამაკაცი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

ძმები ერთ ოჯახში ცხოვრობდნენ და კონფლიქტი ადრეც ჰქონდათ. ორივე ძმა წარსულში ნასამართლევია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1969 წელს დაბადებული ბ.გ. დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში ურთიერთშელაპარაკებისას ძმა, 1977 წელს დაბადებული ბ.გ. სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილოდ დაჭრა.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# ხაიშში პოლიციელები ცემეს

ხაიშში პოლიციელები ადგილობრივებმა ცემეს.

შემთხვევა 17 აპრილს მოხდა და მასში, სავარაუდოდ, ხუთი ადგილობრივი მონაწილეობდა. მათგან 3 დაკავებულია.

კონფლიქტი ადგილობრივებსა და პოლიციელებს შორის კომენდანტის საათის დარღვევის გამო მოხდა. მამაკაცები ერთ-ერთის შვილიშვილის დაბადებას აღნიშნავდნენ, როდესაც მათ პოლიციამ სახლში წასვლისკენ მოუწოდა, სწორედ ამის შემდეგ მათ შორის ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა პოლიციელზე ჯგუფური წინააღმდეგობის ფაქტზე 3 პირი: 1979 წელს დაბადებული ვ.გ. 1990 წელს დაბადებული გ.უ. და 1992 წელს დაბადებული გ.უ. დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 17 აპრილს ხაიშში სამართალდარღვევის ფაქტზე რეაგირების დროს პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწიეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. დაშავდა ერთი პოლიციელი, რომელსაც პირველადი სამედიცინო დახმარების გაეწია. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

პოლიციამ ბრალდებულები დანაშაულის ჩადენიდან მალევე ხაიშში დააკავა.

გრძელდება საგამოძიებო და საპროცესო ღონისძიებები დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა დაკავების მიზნით.

პოლიციის მიმართ ჯგუფური წინააღმდეგობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

# 63 წლის თ.ს. 7 წლის გოგონას მიმართ გარყვნილი ქმედებისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1958 წელს დაბადებული თ.ს. წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2019 წელს საცხოვრებელ კორპუსთან განთავსებულ ავტოფარეხში თ.ს.-მ გარყვნილი ქმედება განახორციელა მისთვის წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკს მიუღწეველ, 7 წლის ლ.ბ.-ის მიმართ. ამასთან, 2021 წლის 8 აპრილს არასრულწლოვანმა ლ.ბ.-მ ქუჩაში დაინახა თ.ს., შეეშინდა და გაიქცა, შემდგომ კი თხრილში ჩავარდა.

გამოძიებით დადგინდა ასევე, რომ 2021 წლის იანვარში თ.ს.-მ გარყვნილი ქმედება განახორციელა ლ.ბ.-ს მეგობრის, მისთვის წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველ მ.ზ.-ს მიმართ.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა თ.ს. წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედების ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

# შს მინისტრის მოადგილე და აშშ-ის ელჩი სექსუალური ძალადობის გამოძიების ტრენინგს დაესწრნენ



შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით, სექსუალური ძალადობის გამოძიების შესახებ ერთკვირიანი სასწავლო კურსი გაიმართა.

ტრენინგის განმავლობაში მსმენელებმა ინფორმაცია მიიღეს სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოძიების საკითხებზე, დაზარალებულის გამოკითხვის, გამოძიების პროცესში მტკიცებულებების შეგროვებისა და დამუშავების პროცესზე, ასევე, გამოძიების დროს სამედიცინო პერსონალთან კომუნიკაციის თაობაზე და ა.შ.

სასწავლო კურსის დახურვას აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე დაესწრნენ და მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს.

აშშ-ის ელჩმა სექსუალური ძალადობის გამოძიების მნიშვნელობასა და ამ კუთხით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაზე ისაუბრა. შს მინისტრის მოადგილემ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) წლების განმავლობაში არსებული მჭიდრო თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

# შსს-ს სასაზღვრო პოლიციას მაღალი გამავლობის ავტომანქანები გადმოეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კოორდინაციითა და ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, მაღალი გამავლობის 30 ავტომანქანა გადმოეცა.



სატრანსპორტო საშუალებების გადაცემის ღონისძიება სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის „წითელი ხიდის“ სამმართველოს ბაზაზე გაიმართა, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზმა და სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, პოლკოვნიკმა ნიკოლოზ შარაძემ ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს საქართველოში კარლ ჰარცელსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიის ხელმძღვანელ სანია ჩელებიჩ ლუკოვაცს უმასპინძლეს.

3.3 მილიონ ლარზე მეტის ღირებულების სატრანსპორტო საშუალებები საზღვარზე დანაშაულის პრევენციის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას უზრუნველყოფს, ასევე, ხელს შეუწყობს სასაზღვრო ინციდენტებზე დროულ და ეფექტიან რეაგირებას.

ღონისძიების ფარგლებში, ევროკავშირისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სასაზღვრო ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და მიიღეს ინფორმაცია ელექტრონული დაკვირვების სისტემის მუშაობის შესახებ. დელეგაციის წევრები, ასევე ეწვივნენ წითელი ხიდის სასაზღვრო გამშვებ პუნქტს და ადგილზე გაეცნნენ მგზავრთა ნაკადის მართვისა და შემოწმების პროცედურებს.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ სატრანსპორტო საშუალებების განახლება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, პროექტის – „ევროკავშირი უსაფრთხოებისათვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში (SAFE) საზღვრის ინტეგრირებული მართვის“ – ფარგლებში განახორციელა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საერთო ჯამში, სასაზღვრო პოლიციას მაღალი გამავლობის 40 ავტომანქანა და საკომუნიკაციო საშუალებები გადმოეცა.

ევროკავშირი აქტიურად განაგრძობს საქართველოში საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროცესის მხარდაჭერას, რაც საზღვრის მართვის სისტემების შემდგომ განვითარებასა და მოდერნიზებას გულისხმობს. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, სასაზღვრო პოლიციასთან თანამშრომლობითა და ევროკავშირის დაფინანსებით, მომავალშიც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას გეგმავს, მათ შორის, სასაზღვრო სექტორების დასაცავ მონაკვეთებზე ელექტრონული დაკვირვების სისტემების მოწყობას და სანაპირო დაცვისათვის სწრაფი რეაგირების 4 საპატრულო კატარღის გადმოცემას.

# შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.437 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.437 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 122 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 1.179 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 136 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.



## ჩეხეთი 18 რუს დიპლომატს აძევებს

ჩეხეთი 18 რუს დიპლომატს აძევებს. შესაბამისი განცხადება პრემიერ-მინისტრმა ანდრეი ბაბისმა გაავრცელა.

საქმე ეხება ქვეყანაში 2014 წელს მომხდარ აფეთქებას, რომელშიც, ჩეხეთის მთავრობის განცხადებით, რუსეთის დაზვერვის სამსახურის მონაწილეობა იკვეთება. ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრ იან ჰამაჩეკის თქმით, ხსენებულ 18 დიპლომატს, რომლებიც კრემლის სასარგებლოდ ჯაშუშობდნენ, ქვეყნის დასატოვებლად 48 საათი აქვთ.

ოფიციალურმა მოსკოვმა ჩეხეთის მთავრობის ბრალდებებს აბსურდი უწოდა.

აფეთქება, რომელზეც ჩეხეთის მთავრობა საუბრობს, 2014 წელს პრაღის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჟილინას მხარეში, ამონიუმის ქარხანაში მოხდა.

აფეთქებას კერძო კომპანიის ორი თანამშრომელი ემსხვერპლა.

ამ აფეთქებასთან კავშირშია ორი რუსი მამაკაცი, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან 2018 წელს ინგლისში სერგეი და იულია სკრიპალების ნოვიჩოკით მოწამვლაში.

ჩეხეთის პოლიცია აცხადებს, რომ ორ მამაკაცს ეძებს, რომლებსაც სხვადასხვა პასპორტი, მათ შორის რუსული პასპორტები აქვთ ალექსანდრე პეტროვისა და რუსლან ბოშიროვის სახელზე.

ეს სახელები ემთხვევა იმ ორი ეჭვმიტანილის სახელებს, რომლებიც სკრიპალების მოწამვლის მცდელობაში ფიგურირებდნენ.



## რუსეთში უკრაინის კონსული დააკავეს

რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა სანკტ-პეტერბურგში უკრაინის გენერალური საკონსულოს კონსული ალექსანდრ სოსონიუკი დააკავა.

დიპლომატი სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებიდან საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებისთვის დააკავეს.

„16 აპრილს უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა უკრაინელი დიპლომატი – სანკტ-პეტერბურგში უკრაინის გენერალური საკონსულოს კონსული ალექსანდრ სოსონიუკი დააკავა, რომელსაც რუსეთის მოქალაქემ გადასცა საიდუმლო მონაცემები რუსეთის სამართალდამცავი ორგანოებისა და ფსბ-ს მონაცემთა ბაზებიდან“, – აცხადებენ უშიშროების ფედერალურ სამსახურში.

მათივე განცხადებით, „ეს საქმიანობა შეუთავსებელია დიპლომატიური თანამშრომლის სტატუსთან და რუსეთის ფედერაციის მიმართ აშკარა მტრულ ხასიათს ატარებს“.

რუსეთი უკრაინელი დიპლომატის მიმართ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ზომებს გამოიყენებს.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, დიპლომატები სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტით იმ ქვეყნებში, სადაც ისინი მუშაობენ, მაგრამ, თუ ისინი დაარღვევენ კანონს ან მტრულ ქმედებებს განახორციელებენ, მათ შეიძლება ჩამოერთვათ ქვეყანაში ყოფნის უფლება.



## ირანში მიწისძვრა მოხდა

გუშინ, 18 აპრილს, ირანში, სპარსეთის ყურის მახლობლად, მიწისძვრა მოხდა, რომლის სიმძლავრემ 5.9 მაგნიტუდა შეადგინა. მას კიდევ ათეულობით მიწისქვეშა ბიძგები მოჰყვა. მომდევნო სამი მიწისქვეშა ბიძგების მაგნიტუდა 4-ს შეადგენდა.

ადგილობრივმა ტელევიზიამ გაავრცელა ეპიცენტრში – ქალაქ ბანდარ-გენავეში გადაღებული კადრები, რომელშიც ჩანს შენობების ჩამოშლილი და დაბზარული კედლები. ვრცელდება მეწყრის კადრებიც.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის მონაცემებით, ირანში 5.8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა 10 კილომეტრის სიღრმეში დაფიქსირდა.

ეპიცენტრი ირანის ბუშერის ატომური ელექტროსადგურიდან 100 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.



## ისრაელში ღია სივრცეში პირბადის ტარება სავალდებულო აღარ არის

ისრაელში 18 აპრილიდან ღია სივრცეში პირბადის ტარება სავალდებულო აღარ არის. ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრის თქმით, დახურულ სივრცეებში პირბადის ტარება კვლავ სავალდებულოა, ამიტომ მან მოქალაქეებს მოუწოდა, პირბადეები კვლავ თან ატარონ.

გარდა ამისა, მიმდინარე წელს პირველად ქვეყანაში სრულად გაიხსნა სკოლები.

ისრაელში ვაქცინის ორივე დოზა ქვეყნის მოსახლეობის 55%-მა მიიღო, შესაბამისად, ჰოსპიტალიზებულთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო.

ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში ვირუსით ინფიცირების 2.500 აქტიური შემთხვევა ფიქსირდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## პირველი წრე თბილისის დინამომ მოიგო



**ლოკომოტივი-დინამო (თბ) 1:3**

**თბილისი. დინამო არენა**

0:1 მექვაბიშვილი (74), 0:2, 0:3 მარუშიჩი (80, 82), 1:3 კაშია (85)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, კაშია, დარცმელია (იაკობიძე 76), სიხარულიძე (გავაშელიშვილი 70), იმრანი (ჭიაბრიშვილი 70), შონია, სანდოხაძე, კახაბრიშვილი (სამურკასოვ 60), თ.კირკიტაძე, გაბაძე (რ.მჭედლიშვილი 46), ქველაძე

**დინამო:** კუტალაძე, ხვადაგიანი, პაპავა, მონხილი (ხარაბაძე 89), ლ.გაგნიძე (აბუაშვილი 75), რადინი (მექვაბიშვილი 58), კობოური, კუცია (იაშვილი 89), ქარდავა, გაბედავა (ახვლედიანი 58), მარუშიჩი

ლოკომოტივი პირველ წრეში საშინაო მატჩებს დინამო არენაზე ატარებს და თბილისის დინამოსაც იქ „უმასპინძლა“. დედაქალაქური დერბი დინამოელთა გამარჯვებით დასრულდა – გიორგი ნემსაძის გუნდმა ზედიზედ მე-6 მატჩი მოიგო და პირველი წრე ლიდერად დახურა.

თამაში ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო. შეხვედრის დებიუტში ზორან მარუშიჩს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ლოკომოტივის გოლკიპერს ვერ აჯობა. სერბ შემტევს კიდევ ერთი საგოლე მომენტი მისმა თანაგუნდელმა შეუქმნა, მაგრამ მილან რადინის ჩაწოდებულ ბურთს ვერ შესწვდა და მომენტიც განიმუხტა. 28-ე წუთზე ლოკომოტივის კარი რევაზ თევდორაძემ გადაარჩინა, როდესაც იმავე მარუშიჩის თავით დარტყმული ბურთი კუთხურზე უკუაგდო.

საპასუხოდ ლოკომოტივსაც შეექმნა კარგი მომენტი, როდესაც კახა კაბრიშვილი ლუკა კუტალაძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. შედეგად, პირველი ტაიმი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა.

შესვენების შემდეგ მატჩი 74-ე წუთამდე უინტერესოდ მიმდინარეობდა, მერე კი „აფეთქდა“. ჯერ თორნიკე ახვლედიანის პასით ანზორ მექვაბიშვილმა ანგარიში გახსნა, შემდეგ უკვე მარუშიჩის დრო დადგა: სერბმა ორწუთიან მონაკვეთში 2 გოლი გაიტანა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მეორე გოლი უფრო გიორგი ქველაძის ავტოგოლი იყო, მაგრამ მარუშიჩს მიაწერეს.

3:0 დინამოს სასარგებლოდ და მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, თუმცა არ ნებდებოდა გურამ კაშია, რომელმაც პრესტიჟის გოლი გაუტანა დინამოს და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 1:3.

**დილა-დინამო (ბთ) 2:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 ღუდუშაური (23), 2:0 გაგნიძე (89), 2:1 მამუჩაშვილი (90პ)

**დილა:** გუგეშაშვილი, ჭიჭინაძე, ა.სანტოსი (ჩიტეიშვილი 71), სილვა, ეტოუ, ბულრიძე (წოწონავა 66), ნონდი, ნ.გაგნიძე, ბიძინაშვილი (მოსიაშვილი 71), ღუდუშაური (კამარა 59), თ.კაპანაძე

**დინამო:** კუპატაძე, აზაროვი, აზაცკი, კობახიძე, ჩაბრაძე (ჩუკვურა 70), ჯიღაური, მანჯგალაძე, მამუჩაშვილი, ალთუნაშვილი (გროცურეკი 79), ნიქაბაძე (მჭედლიძე 55), ფანცულაია (ზარია 70)

თბილისის დინამოს გამარჯვების შემდეგ 3 ქულა სჭირდებოდა ბათუმის დინამოსაც, რათა ლიდერთან სხვაობა მინიმუმამდე დაეყვანა, მაგრამ ეს ამოცანა ვერ გადაჭრა და გორში დილასთან 1:2 დამარცხდა. ანდრე დემჩენკოს გუნდმა გაცილებით სწორი ფეხბურთი ითამაშა, ვიდრე გია გეგუჩაძის გაწვრთნილმა დინამომ და დამსახურებულადაც მოიგო.

ანგარიში 23-ე წუთზე პაატა ღუდუშაურის მიერ გატანილი გოლით გაიხსნა, რომელსაც ასისტენტობა ირაკლი ბულრიძემ გაუწია. მეორე გოლი კი ნიკა გაგნიძის ანგარიშზეა, რომელმაც ლაზარე კუპატაძის კარი მატჩის მიწურულს ულამაზესი დარტყმით აიღო.

ბათუმელებმა ერთი ბურთი 11-მეტრიანი დარტყმით მას შემდეგ გაქვითეს, რაც მატჩისთვის განკუთვნილი დრო ამოწურული იყო.

**სამგურალი-ტორპედო 2:1**

**წყალტუბო. 26 მაისი**

0:1 მამასახლისი (17პ), 1:1 კუხიანიძე (38), 2:1 კირკიტაძე (76პ)

**სამგურალი:** ქვილითაია, გილმორი, ს.კუხიანიძე, ფონიავა, კალანდარიშვილი, ა.ვერულიძე (ჩიხლაძე 62), ქურდაძე, ლექვთაძე (დ.კირკიტაძე 71), დოლიძე (კიკაბიძე 84), ბურჯანაძე, გ.მჭედლიშვილი (ბანძელაძე 71)

**ტორპედო:** ჰამზიჩი, ვ.ტაბატაძე (შერვაშიძე 82), მირცხულავა, ნადარაია, მამასახლისი, ძარია (სალაკუ 78), ზიდანი (კვერნაძე 72), ბუკასი, რეკიში, ჩალაძე, ჩაკვეტაძე

იმერული დერბი წყალტუბოელებმა მოიგეს. არადა, თავდაპირველად ტორპედო დაწინაურდა – ქუთათურებმა მე-17 წუთზე პენალტის დარტყმის უფლება მიიღეს და ოლეგ მამასახლისმა გაიტანა.

ამის შემდეგ სამგურალმა, რომელსაც ახალი მწვრთნელი, სოსო ფრუიძე ჰყავს, მოუმატა და ჯერ სერგო კუხიანიძემ შეაგდო ულამაზესი გოლი, ხოლო მატჩის მიწურულს ტორპედომ საკუთარ საჯარიმოში წესები დაარღვია და 11 მეტრიდან დავით კირკიტაძემ დაარტყა ზუსტად.

პირველი წრე ქუთაისურმა გუნდმა მოგების გარეშე დაასრულა...

**შუქურა-თელავი 2:0**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 სარდალიშვილი (77), 2:0 ჯეფერსონი (82)

**შუქურა:** შეროზია, ფარტენაძე, კალანდია, მუსელიანი (ბ.ვერულიძე 86), ხმალაძე, ჩელებაძე (ინგოროყვა 70), გურეშიძე (გოგიტიძე 88), სარდალიშვილი, რეხვიაშვილი, ჯერალდო (მუჯირი 88), ექვთიმიშვილი (ჯინჭარაძე 86)

**თელავი:** ჩოჩიშვილი, ც.კაპანაძე (ლ.კოხრეიძე 69), თევზაძე, მარაქველიძე (სოსიაშვილი 83), მ.ბაშელეიშვილი, ჯანელიძე (აშორტია 83), ინჯგია, ფაცაცია, შეყილაძე (ნ.ბაშალეიშვილი 77), არდაზიშვილი, შერგელაშვილი

საინტერესო მატჩი გაიმართა ზესტაფონში, სადაც ქობულეთის შუქურა თელავს დაუხვდა. თანაბარ თამაშში უფრო მწვავედ შუქურა გამოიყურებოდა და ამ ყველაფერმა შედეგი მოიტანა.

გიორგი შაშიაშვილის გუნდმა გვიანი გოლები გაიტანა: ჯერ მიშიკო სარდალიშვილმა, ხოლო შემდეგ – ჯეფერსონ ჯერალდომ.

შუქურა ამ მოგებით სახიფათო ზონას დაშორდა და პრეტენზიას უკვე მაღალი ადგილებისთვის აცხადებს. ვნახოთ, რა იქნება დარჩენილ 3 წრეში.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 9 | 7 | 1 | 1 | 18-7 | 22 |
| 2.დინამო (ბთ) | 9 | 5 | 3 | 1 | 11-5 | 18 |
| 3.დილა | 9 | 5 | 2 | 2 | 11-6 | 17 |
| 4.საბურთალო | 9 | 3 | 5 | 1 | 12-9 | 14 |
| 5.ლოკომოტივი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-16 | 14 |
| 6.შუქურა | 9 | 3 | 3 | 3 | 9-8 | 12 |
| 7.სამგურალი | 9 | 2 | 3 | 4 | 7-11 | 9 |
| 8.თელავი | 9 | 1 | 3 | 5 | 6-14 | 6 |
| 9.ტორპედო | 9 | 0 | 5 | 4 | 5-11 | 5 |
| 10.სამტრედია | 9 | 1 | 1 | 7 | 7-15 | 4 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

### კალეიდოსკოპი



## ნავიდან გადავარდნილმა მამაკაცმა თავი კინაღამ ვეშაპის ყბებში ამოყო

ალგოას ყურეში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სანაპიროსთან, მამაკაცი ნავის ვეშაპთან შეჯახების შედეგად წყალში გადავარდა და კინაღამ ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველის ხახაში ამოყო თავი. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა. 51 წლის მარინო გერბავაზი ზღვაზე სასეირნოდ თავის 22 წლის ქალიშვილ ჯილიანთან და ოჯახის დანარჩენ წევრებთან ერთად იმყოფებოდა.

გოგონას თქმით, ისინი დელფინებს ადევნებდნენ თვალს, როდესაც წყლის სიღრმიდან ვეშაპმა ამოყვინთა და სასეირნო ნავს დაეჯახა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მარინო ნავიდან წყალში გადავარდა, ვეშაპმა კი პირი დააღო და წყალთან ერთად პატარა თევზების შესრუტვა დაიწყო, რა დროსაც მის ყბებში კინაღამ მამაკაცმაც ამოყო თავი.

მარინოსთან სწრაფად მიცურდა მეორე ნავი და წყლიდან ამოიყვანა. მამაკაცი ამ შემთხვევას ხუმრობით მოეკიდა და ქალიშვილთან ერთად ბევრი იცინა, სამაგიეროდ, მისი მეუღლე გარკვეული დროის განმავლობაში შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

## განძის პოვნაზე მიწის მფლობელს ისტერიული სიცილი აუვარდა



ინდოეთის ტელინგანას შტატის სოფელ პემბარტიში სამშენებლო სამუშაოების დროს განძი აღმოაჩინეს.

მიწის სამუშაოების დროს ექსკავატორი გადააწყდა სპილენძის ჭურჭელს, რომელიც ძვირფასი სამკაულებით იყო სავსე. ნაპოვნი ოქროს წონამ – 189,8 გრამი, ვერცხლის წონამ კი 1,72 კილოგრამი შეადგინა. სპილენძის ჭურჭელში ასევე აღმოჩნდა ლალის ქვა, რომლის წონა 6,5 გრამია.

მშენებლობის ადგილზე თავი ხალხმა მოიყარა. ბევრმა მათგანმა განძი ქალღმერთისთვის მირთმეულ შესაწირად ჩათვალა, ვინაიდან იმ ადგილზე ოდესღაც ტაძარი იყო აღმართული. მათ ადგილზე ყვავილები მიიტანეს, საკმეველი დაანთეს და ლოცვები აღავლინეს. სხვები მიწის მფლობელის დაწყნარებას ცდილობდნენ, რომელსაც განძის დანახვაზე ისტერიული სიცილი აუვარდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სხვა განძის აღმოსაჩენად გათხრები დაიწყო. ოლქის წარმომადგენლის თქმით, თუ ნაპოვნი განძის ასაკი 100 წელს აღემატება, მაშინ ის სახელმწიფოს საკუთრება გახდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## გიორგი გვარჯალაძის საშვი გააუქმეს



ლენო რექორდსის ხელმძღვანელ გიორგი გვარჯალაძის საშვი გააუქმეს, რის გამოც მისი არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი საფრთხის ქვეშ დადგა. გიორგიმ ამ თემაზე პირდაპირ ჩართვაში სოციალურ ქსელში ისაუბრა და ხელისუფლებას კიდევ ერთხელ განუმარტა, თუ რატომ არის მისთვის მუდმივი საშვი საჭირო.

გიორგი გვარჯალაძის მიერ შესრულებული სამუშაოების მნიშვნელობაზე არაერთმა მუსიკოსმა და მომღერალმა ისაუბრა. მათ შორისაა მუსიკოსი რეზო კიკნაძე:

– ბულვარული თუ პოლიტიკური ყვითელი „კატაკლიზმების“ ფონზე ერთი მოსაწყენი და უმნიშვნელო, „არავისთვის საინტერესო“ ცუდი ამბავი: სტუდია „ლენო რექორდსის“ მეთაურს, გიორგი გვარჯალაძეს, გაუუქმდა საშვი, რომლითაც აქამდე სარგებლობდა და გვიანობამდე მუშაობა შეეძლო, რომ მეორე დღის სესიებისთვის მოემზადებინა სტუდია, სივრცე, ინსტრუმენტები, დაეხარისხებინა უკვე მომხდარი სესიის მასალა და ა.შ. არ ვიცი, ვისი კომპეტენცია აღმოჩნდება ან საბოლოოდ ვინ იგრძნობს თავს მოვალედ, გამოასწოროს ეს საქმე, რომ ბოლო სასუნთქიც არ გადაეკეტოს თბილისის მუსიკალურ ცხოვრებასა და ქართული მუსიკის დღევანდელ სავალალო ყოფას, მაგრამ:

ბევრს კი არა, ალბათ, ყველას, ვისთვისაც მუსიკა სულ ერთი არ არის და ასე თუ ისე თვალს ადევნებს აქ, ჩვენთან, ჩვენ შორის მიმდინარე მუსიკალურ პროცესებს, მოეხსენება ამ სტუდიის მნიშვნელობა ქართული კულტურული დღევანდელობისთვის, ამ საშინელი ეკონომიკური, საგანმანათლებლო და კულტურული ლოკდაუნის პირობებში, ამ უბედურებაში, უკვე მეორე წელი რომ გვიდგას და საშველი რომ არა და არ ჩანს: მუსიკა ის ყველაზე დაჩაგრული სფერო აღმოჩნდა, საკონცერტო და სარესტორაციო სივრცეებთან ერთად რომ დახშულა მთელი ეს დრო და, ორიოდე გამონაკლისის გარდა, მხოლოდ რადიოსა და ტელევიზიის შედარებით ვიწროდ ფოკუსირებული პოპულარული რუბრიკების, მათი იმწუთიერი საჭიროებისა და თემატური გაფორმების ატრიბუტი გამხდარა, ნამდვილ მუსიკალურ კულტურასთან ძნელად რომ ასოცირდება უმეტეს შემთხვევაში.

აი, ამ საშინელების, ეკონომიკური და კულტურული ჩარაზულ-ჩაკეტილობისა და სოციალური დისტანციის, რა ცინიკურად ჟღერს ჩვენი ყოფის კონტექსტში, დროს, ლენო რექორდსი იყო სწორედ მუსიკისა და არა მარტო, ყველა ჟანრის წამყვან ხელოვანთა ასპარეზის, თავშესაფრის, ლუკმაპურისა და, რაც მთავარია, შემოქმედებითი გადარჩენის ადგილად რომ გვევლინებოდა; და მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში გაწეული შრომა და გარჯაც რომ „ვიანგარიშოთ“, ისიც კი დარჩება ფასდაუდებელ ღვაწლად ქართული მუსიკის წინაშე, სიახლეში, აქტუალობაში, ტექნიკურ თუ შემოქმედებით ხარისხში რომ საქართველოს ვერც ერთი სხვა საკონცერტო თუ სამაუწყებლო სივრცე ვერ გაეჯიბრება, განსაკუთრებით ამ ძნელბედობის ჟამს.

ლენო რექორდსი უბრალოდ „სტუდიად“ კი ითქმება, მაგრამ საქმეში ჩახედულებს კარგად მოგვეხსენება, რომ ნამდვილი კერაა შემოქმედების, განათლების, კულტურის და, თუ ამ დროის ქართული მუსიკალური „პროდუქცია“, კლასიკური გინდა, ექსპერიმენტული, პოპულარული თუ ჯერ სახელი რომ არ ჰქვია და სფეროს რომ არ მიჰკუთვნებია, იმნაირი მუსიკის, ოდესმე გზას გაიკვალავს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მუსიკის ისტორიის სახელმძღვანელოებში თუ უბრალოდ ადამიანების გულებისკენ, ეს სწორედ ამ კერის დამსახურება იქნება, აქ „დაორგანიზებული“, აქ „მოყვანილი“, აქ ჩაწერილი და აქაური ენერგიით, გემოვნებითა და ტექნიკური ხარისხით პროდუცირებული, ამ ჩარაზულ შიშიანობაში გულს რომ გვიხარებს, ალბომით იქნება ეს, კონცერტის ლაივსტრიმით თუ ღია სივრცის ფესტივალებით, ტელევიზორების თუ კომპიუტერების წინ მსხდომებს.

ჰო, მართლა: სანამ ტელევიზიის პირდაპირ ინტერესში იყო ამ სტუდიით სარგებლობა, მანამდე საშვიც არ ყოფილა პრობლემა. ეს კი ლოგიკურად მაიმედებს, რომ გვაჯისთვის საშვის გაცემა არანაირ ჯანდაცვურ, საზოგადოებრივ, მართლწესრიგულ ან კიდევ როგორიც გინდა, ისეთ სტანდარტს არ დაარღვევს და ამ ადამიანს არ შეეზღუდება სამუშაო დრო, არ წაერთმევა მუშაობის ხალისი, არ შეეშლება ხელი უმნიშვნელოვანეს კულტურულ საქმიანობაში, დღეს რომ ასე დადამბლავებულია ყველგან.

ამიტომ გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ! ვისაც კი რაიმე შეხება აქვს ამ პროცედურულ მიხვეულ-მოხვეულებთან, იურიდიული ცოდნა, საკანონმდებლო კომპეტენცია, პოლიციური ძალაუფლება, მიეხმარეთ ლენო რექორდსსა და გიორგი გვარჯალაძეს საშვის მიღებაში!

ზედმეტი კია ამის თქმა, მაგრამ მაინც: არანაირ საფრთხეს დღევანდელი ეპიდსიტუაციისთვის ეს არ წარმოადგენს, რადგან იმაზე უფრო შეგნებული, ზედმიწევნით ზუსტი და სკრუპულოზური დაცვა ჰიგიენური და დისტანციური რეგულაციებისა, როგორის მოწმეც ლენო რექორდსში ვყოფილვარ ყოველ ჯერზე, არსად შემხვედრია! გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# შედეგები

## 17 აპრილი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნიუკასლი-ვესტ ჰემი ...................... 3:2
ვულვზი-შეფილდი .......................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 32 | 23 | 5 | 4 | 67-23 | 74 |
| 2.მანჩესტერი | 31 | 18 | 9 | 4 | 61-34 | 63 |
| 3.ლესტერი | 31 | 17 | 5 | 9 | 55-37 | 56 |
| 4.ვესტ ჰემი | 32 | 16 | 7 | 9 | 53-42 | 55 |
| 5.ჩელსი | 31 | 15 | 9 | 7 | 50-31 | 54 |
| 6.ლივერპული | 31 | 15 | 7 | 9 | 53-37 | 52 |
| 7.ტოტენჰემი | 32 | 14 | 8 | 10 | 54-37 | 50 |
| 8.ევერტონი | 31 | 14 | 7 | 10 | 43-40 | 49 |
| 9.არსენალი | 31 | 13 | 6 | 12 | 43-35 | 45 |
| 10.ლიდსი | 31 | 14 | 3 | 14 | 49-49 | 45 |
| 11.ასტონ ვილა | 30 | 13 | 5 | 12 | 43-33 | 44 |
| 12.ვულვზი | 32 | 11 | 8 | 13 | 32-41 | 41 |
| 13.კრ.პალასი | 31 | 10 | 8 | 13 | 33-52 | 38 |
| 14.საუთჰემპტონი | 31 | 10 | 6 | 15 | 39-56 | 36 |
| 15.ნიუკასლი | 32 | 9 | 8 | 15 | 35-53 | 35 |
| 16.ბრაიტონი | 31 | 7 | 12 | 12 | 33-38 | 33 |
| 17.ბარნლი | 31 | 8 | 9 | 14 | 25-42 | 33 |
| 18.ფულემი | 32 | 5 | 11 | 16 | 24-42 | 26 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 31 | 5 | 9 | 17 | 28-59 | 24 |
| 20.შეფილდი | 32 | 4 | 2 | 26 | 17-56 | 14 |

**ინგლისი. თასი**

ჩელსი-სიტი ................................ 1:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრენტფორდი-მილუოლი ................ 0:0
ლოთუნი-უოტფორდი .................. 1:0
მიდლსბრო-ქპრ ............................ 1:2
ნოტინგემი-ჰადერსფილდი .............. 0:2
სტოკი-პრესტონი ........................ 0:0
სუონსი-უიკომბი .......................... 2:2
უენსდი-ბრისტოლი ...................... 1:1
ნორვიჩი-ბორნმუთი ...................... 1:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-არმინია ...................... 0:0
გლადბახი-აინტრახტი .................... 4:0
ვოლფსბურგი-ბაიერნი .................... 2:3
უნიონი-შტუტგარტი ...................... 2:1
ფრაიბურგი-შალკე ........................ 4:0
ლევერკუზენი-კიოლნი .................... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 29 | 21 | 5 | 3 | 83-38 | 68 |
| 2.ლაიფციგი | 29 | 18 | 7 | 4 | 52-23 | 61 |
| 3.ვოლფსბურგი | 29 | 15 | 9 | 5 | 51-29 | 54 |
| 4.აინტრახტი | 29 | 14 | 11 | 4 | 59-44 | 53 |
| 5.ლევერკუზენი | 29 | 13 | 8 | 8 | 48-32 | 47 |
| 6.დორტმუნდი | 28 | 14 | 4 | 10 | 58-41 | 46 |
| 7.გლადბახი | 29 | 11 | 10 | 8 | 52-43 | 43 |
| 8.უნიონი | 29 | 10 | 13 | 6 | 44-35 | 43 |
| 9.ფრაიბურგი | 29 | 11 | 7 | 11 | 44-42 | 40 |
| 10.შტუტგარტი | 29 | 10 | 9 | 10 | 51-46 | 39 |
| 11.აუგსბურგი | 29 | 9 | 6 | 14 | 29-42 | 33 |
| 12.ჰოფენჰაიმი | 29 | 8 | 8 | 13 | 41-47 | 32 |
| 13.ვერდერი | 28 | 7 | 9 | 12 | 32-43 | 30 |
| 14.მაინცი | 28 | 7 | 7 | 14 | 30-48 | 28 |
| 15.არმინია | 29 | 7 | 6 | 16 | 22-46 | 27 |
| 16.ჰერტა | 28 | 6 | 8 | 14 | 34-48 | 26 |
| 17.კიოლნი | 29 | 5 | 8 | 16 | 27-53 | 23 |
| 18.შალკე | 29 | 2 | 7 | 20 | 18-75 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზ.პაული-კიკერსი .......................... 4:0

**ესპანეთი. სამეფო თასი**

**ფინალი**

ბილბაო-ბარსელონა ...................... 0:4

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლუგო-ალკორკონი ........................ 1:3
კასტელონი-მალიორკა .................. 1:0
ლას პალმასი-მალაგა .................... 1:1
ხიხონი-ოვიედო .......................... 0:1

**იტალია. სერია ა**

კროტონე-უდინეზე ........................ 1:2
სამპდორია-ვერონა ........................ 3:1
სასუოლო-ფიორენტინა .................. 3:1
კალიარი-პარმა ............................ 4:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 30 | 23 | 5 | 2 | 69-27 | 74 |
| 2.მილანი | 30 | 19 | 6 | 5 | 57-35 | 63 |
| 3.იუვენტუსი | 30 | 18 | 8 | 4 | 61-27 | 62 |
| 4.ატალანტა | 30 | 18 | 7 | 5 | 71-38 | 61 |
| 5.ნაპოლი | 30 | 19 | 2 | 9 | 65-34 | 59 |
| 6.ლაციო | 29 | 17 | 4 | 8 | 46-38 | 55 |
| 7.რომა | 30 | 16 | 6 | 8 | 54-44 | 54 |
| 8.სასუოლო | 31 | 12 | 10 | 9 | 52-49 | 46 |
| 9.ვერონა | 31 | 11 | 8 | 12 | 39-38 | 41 |
| 10.სამპდორია | 31 | 11 | 6 | 14 | 42-46 | 39 |
| 11.უდინეზე | 31 | 9 | 9 | 13 | 34-41 | 36 |
| 12.ბოლონია | 30 | 9 | 7 | 14 | 39-46 | 34 |
| 13.ჯენოა | 30 | 7 | 11 | 12 | 32-44 | 32 |
| 14.სპეცია | 30 | 8 | 8 | 14 | 40-55 | 32 |
| 15.ფიორენტინა | 31 | 7 | 9 | 15 | 39-52 | 30 |
| 16.ბენევენტო | 30 | 7 | 9 | 14 | 30-55 | 30 |
| 17.ტორინო | 29 | 5 | 12 | 12 | 42-52 | 27 |
| 18.კალიარი | 31 | 6 | 7 | 18 | 35-54 | 25 |
| 19.პარმა | 31 | 3 | 11 | 17 | 32-63 | 20 |
| 20.კროტონე | 31 | 4 | 3 | 24 | 38-79 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

ვიჩენცა-ლეჩე ............................ 1:2
მონცა-კრემონეზე ........................ 2:1
პიზა-კოზენცა .............................. 3:0
რეჯინა-რეჯანა ............................ 2:1
სალერნიტანა-ვენეცია .................... 2:1
ემპოლი-ბრეშა ............................ 4:2
ჩიტადელა-კიევო .......................... 1:0
პორდენონე-ფროზინონე .................. 2:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ანჟე-რენი .................................. 0:3
მარსელი-ლორიანი ........................ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 33 | 20 | 10 | 3 | 54-20 | 70 |
| 2.პსჟ | 32 | 21 | 3 | 8 | 71-23 | 66 |
| 3.მონაკო | 32 | 20 | 5 | 7 | 67-38 | 65 |
| 4.ლიონი | 32 | 18 | 10 | 4 | 63-31 | 64 |
| 5.ლანსი | 32 | 14 | 10 | 8 | 51-44 | 52 |
| 6.მარსელი | 33 | 14 | 10 | 9 | 46-41 | 52 |
| 7.რენი | 33 | 14 | 9 | 10 | 43-35 | 51 |
| 8.მონპელიე | 33 | 12 | 11 | 10 | 53-54 | 47 |
| 9.ნიცა | 32 | 12 | 7 | 13 | 41-42 | 43 |
| 10.მეცი | 32 | 11 | 9 | 12 | 36-38 | 42 |
| 11.ანჟე | 33 | 11 | 8 | 14 | 34-50 | 41 |
| 12.რეიმსი | 32 | 9 | 13 | 10 | 38-38 | 40 |
| 13.სტ.ეტიენი | 32 | 10 | 9 | 13 | 36-47 | 39 |
| 14.ბორდო | 32 | 10 | 6 | 16 | 35-45 | 36 |
| 15.სტრასბური | 32 | 10 | 6 | 16 | 41-50 | 36 |
| 16.ბრესტი | 32 | 10 | 6 | 16 | 44-55 | 36 |
| 17.ლორიანი | 33 | 8 | 8 | 17 | 40-61 | 32 |
| 18.ნიმი | 32 | 8 | 6 | 18 | 31-59 | 30 |
| 19.ნანტი | 32 | 5 | 13 | 14 | 32-49 | 28 |
| 20.დიჟონი | 32 | 2 | 9 | 21 | 20-56 | 15 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

კლერმონი-ლე ავრი ...................... 1:1
ტრუა-კაენი ................................ 1:0
აიაჩო-ნიორი .............................. 3:0
ვალანსიენი-გენგამი ...................... 0:1
დიუნკერკი-გრენობლი .................... 1:1
ოსერი-ნანსი .............................. 3:2
როდეზი-პარიზი .......................... 2:2
სოშო-პო .................................... 1:1
ტულუზა-შატორუ .......................... 1:0
შამბლი-ამიენი ............................ 2:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

გიმარაეში-სანტა კლარა .................. 1:0
მორეირენშე-ტონდელა .................... 2:3
ბელენენსეში-მარიტიმუ .................. 2:0
ბენფიკა-ჟილ ვისენტე .................... 1:2
რიუ ავე-ბრაგა ............................ 0:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

გროზნი-ხიმკი ............................ 3:1
ლოკომოტივი-როსტოვი .................... 4:1
როტორი-დინამო .......................... 0:3
კრასნოდარი-ზენიტი ...................... 2:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ჰარტბერგი ...................... 0:1
რიდი-ალტახი .............................. 0:0
სტ.პოლენი-აუსტრია ...................... 1:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

შარლერუა-ეუპენი ........................ 2:3
ანტვერპენი-გენკი ........................ 3:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

დენიზლი-ერზრუმი ...................... 2:3
მალათია-ალანია .......................... 1:0
ტრაბზონი-ჰატაი .......................... 1:1
გიოზთეფე-გალათასარაი .................. 1:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოფი-ატრომიტოსი ........................ 1:1
პანეთოლიკოსი-აპოლონი .................. 1:0
ვოლოსი-იანინა ............................ 1:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოლესლავი-ოპავა ........................ 2:0
კარვინა-ჩესკე ............................ 3:0
სიგმა-ტეპლიცე ............................ 1:1
პლზენი-იაბლონეცი ...................... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ციურიხი ............................ 2:2
სტ.გალენი-ლუცერნი ...................... 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხია-პიასტი .............................. 2:2
ჩენსტოხოვა-ლეხი .......................... 3:1
ვისლა-ვარტა .............................. 0:1

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

უიპეშტი-მეზოკოვეშდი .................. 3:0
კიშვარდა-ფერენცვაროში .................. 0:0
პაკში-ზალაეგერსეგი ...................... 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მინაი-დესნა .............................. 3:1
ვორსკლა-ზორია .......................... 4:2
შახტარი-დინამო .......................... 0:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰამარბი-მიალბი .......................... 2:0

## იტალიელები ქართველებს აქებენ



იტალიური გამოცემები წერენ, რომ თბილისის დინამოს ახალგაზრდა ნახევარმცველ ლუკა გაგნიძეს სერია ა-ს გრანდები აკვირდებიან. მათ შორის, ყველაზე მეტად აქტიურობს ტურინის იუვენტუსი.

თუმცა, იმასაც წერენ, რომ იუვენტუსის მხრიდან შეთავაზება ჯერ არ გაკეთებულა, მაგრამ გაგნიძე ტურინული კლუბისა და სხვა იტალიური გრანდების სიაშია.

დინამოს აკადემიის აღზრდილი გაგნიძე 18 წლისაა და თანდათან ყალიბდება დღევანდელი ფორმაციის დინამოს ერთ-ერთ ლიდერად.

თუმცა იტალიელები მარტო გაგნიძეზე არ საუბრობენ. აპენინურ მედიაში გამოქვეყნდა წერილი, სადაც წერია, რომ სერია ა-ს კლუბებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სხვა ქართველ ტალანტებსაც, მაგალითად, გიორგი აბუაშვილს, რომელიც დინამოს აკადემიის აღზრდილია და ასევე 18 წლის არის.

– აბუაშვილი ძალიან კარგად თამაშობს მარცხენა ფეხით. რა თქმა უნდა, ჯერ არ არის ზრდასრული ტალანტი და კიდევ ბევრი აქვს სამუშაო, მაგრამ აქვს პოტენციალი. კარგი იქნება, თუ პირველ ნაბიჯებს ჯერ სერია ბ-ში გადადგამს, – წერენ იტალიელები.

სერია ბ-სი რა მოგახსენოთ და აბუაშვილით პორტუგალიური გრანდი პორტუაა დაინტერესებული. როგორც იწერება, ტრანსფერის საკითხი ამ ზაფხულს გადაწყდება.

იტალიელები იმასაც წერენ, რომ ქართული გვარები ძნელად გამოსათქმელია, მაგრამ დაბალი სატრანსფერო ფასები აქვთ. რაც მთავარია, კონცენტრირებულები არიან ბურთზე და ამით ქართველი ფეხბურთელები საინტერესონი არიან.

## ვაჟა მარგველაშვილი ევროპაზე ვერცხლს დასჯერდა



ლისაბონში მიმდინარეობს ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი და 2 დღის შემდეგ ქართული დელეგაციის მონაგარი მხოლოდ ერთი ვერცხლის მედალია.

66 კილოგრამში ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვაჟა მარგველაშვილი პირველი წრიდან თავისუფალი იყო, მეორე წრეში ესპანელ ადრიან ნიეტო-ჩინაროს მოუგო, შემდეგ მის გზას ბელარუსი დმიტრი მინკოუ გაუყენა, ხოლო ნახევარფინალში სერბ სტრაჰინია ბუნჩიჩს სძლია და ფინალში იტალიელ მანუელ ლომბარდოს შეხვდა.

სამწუხაროდ, ჩვენებური ფინალში მალევე იპონით დამარცხდა და მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა.

60 კილოგრამში თემურ ნოზაძე ყველასათვის მოულოდნელად პირველივე წრეში დამარცხდა ისრაელის წარმომადგენელ მატან კოკოლაევთან.

მოულოდნელი იყო 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლაშა შავდათუაშვილის მარცხიც. ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი მეორე წრეში ბელარუს ვაძიმ შოკასთან დამარცხდა და ტურნირს ნაადრევად დაემშვიდობა. მანამდე ლაშამ პეტრუ პელივანი დაამარცხა.

მედალთან ახლოს იყო 57 კილოგრამში მოჭიდავე ეთერ ლიპარტელიანი, რომელმაც პირველ წრეში უკრაინელ მარია სკორას მოუგო, მეორე წრეში კი გერმანელი იანა ზელერი დაამარცხა, თუმცა მეოთხედფინალში თავად წააგო ფრანგ სარა-ლეონ კისიკთან, რის შემდეგაც რეპეშაჟში გადაერთო, სადაც ისრაელის წარმომადგენელ ტიმნა ნელოსნ-ლევის მოუგო და ბრინჯაოს მედლისთვის კოსოვოელ ნორა გიაკოვას დაეჭიდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო და უმედლოდ დარჩა. 52 კილოგრამში ტატიანა ლევიცკა-შუკვანმა პირველივე ორთაბრძოლები წააგო მასპინძელ იოანა რამოსთან და გამოეთიშა ასპარეზობას. ამავე წონაში ჩვენმა მეორე მონაწილე მარიამ ჯანაშვილმა პირველი ორთაბრძოლა მოუგო მასპინძელ იოანა დიოგოს, მაგრამ მეორე წრეში დამარცხდა შვეიცარიელ ფაბიენე კოჰერთან და ნაადრევად დაასრულა შეჯიბრება.

## ფლიკი ბაიერნს დატოვებს

მიუნხენის ბაიერნის მწვრთნელმა ჰანს-დიტერ ფლიკმა გერმანიის ბუნდესლიგის ბოლო ტურში ვოლფსბურგთან სტუმრად მოგებული (3:2) მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ სეზონის დასრულებისთანავე გუნდს დატოვებს.

ჰანს-დტერ ფლიკი:

– გუნდს უკვე ვუთხარი, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ბაიერნთან კონტრაქტს გავწყვეტ. მინდოდა, ფეხბურთელებს ეს ჩემგან სცოდნოდათ, კლუბის ხელმძღვანელობას კი გადაწყვეტილება მაშინ ვაცნობე, როგორც კი ჩემპიონთა ლიგიდან გავვარდით. მინდა, მადლობა გადავუხადო ბაიერნს, რომელმაც მომცა საშუალება, ვყოფილიყავი ამ შესანიშნავი გუნდის მწვრთნელი.

გერმანელები წერენ, რომ ფლიკი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გერმანიის ნაკრებს ჩაიბარებს, რომელსაც იოაჰიმ ლიოვი დატოვებს.

ფლიკი ბაიერნში 2019 წლიდანაა. მოიგო ბუნდესლიგა, გერმანიის თასი და სუპერთასი. გასული ზაფხული ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის სუპერთასის მოგებით დააგვირგვინა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ბიძინა სიჭინავას ხსოვნას



ჩვენი საყვარელი მეგობარი, ჩვენი ძმა, ჩვენი ბიძინა, 19 აპრილს 79 წლის გახდებოდა. იშვიათად თუ ნახავთ ისეთი შემართებისა და კეთილი გულის ადამიანს, როგორიც ბიძინა იყო. ძალიან გვენატრება ყველას... ვიხსენებთ მისი ხელით გაკეთებულ ბუხართან თუ მოზაიკიან დაფასთან „ბარბექიუზე" მიწვევასა და იქ გატარებულ დღეებს: ჩვენი სტუმრობით გამოწვეულ აღფრთოვანებას, სიყვარულით გამთბარ მის გამოხედვასა და მომავლის იმედით სავსე საუბარს. ბიძინას სურვილები და ფიქრები ნაწილობრივ ახდენილია. ვილოცებთ, რომ ყველაფერი ისე დაგვირგვინებულიყოს, როგორც მას სურდა თავის შვილებთან მიმართებით. ჩვენთვის მისი კრეატიულობა დაუვიწყარია. ცოლშვილთან ერთად ჩვენც დიდხანს გვემახსოვრება იუმორული და შინაარსიანი წარსულის მქონე ბიძინა. გვინდა, რომ მოგონებების ნიშნად ჩვენგან ანთებულმა 19-მა სანთელმა ნათელში ამყოფოს და დაამშვიდოს მისი სული.

*თანაკლასელი მეგობრების სახელით, მზია ჩაჩავა*

## ჯანიკო ლორიას ხსოვნას



სკოლის დასრულებიდან 62 წლის განმავლობაში ჩვენი მეგობრობა არ შეწყვეტილა. ხუთჯერ აღვნიშნეთ სკოლის დამთავრების იუბილე. ჩვენი ჯანიკო ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ორგანიზაციულ საკითხებში. იგი იყო პრინციპული და საქმის მოყვარე, ერთგული მეგობარი და სამართლიანი ადამიანი. სკოლიდანვე გამოირჩეოდა, როგორც ქალთა უფლებების დამცველი პიროვნება, უყვარდა ფეხბურთი – ბარსა და მესი. კარგად თამაშობდა კალათბურთს. იგი ჩვენს საიუბილეო ღონისძიებებზე ყველა ამ თემასთან დაკავშირებით იღებდა საპატიო ჯილდოებს ან ნომინაციებში გამარჯვებისათვის პრიზებს. ჩვენმა მეგობარმა ბიძინა სიჭინავამ დახატა კიდეც მეგობრული შარჟი, „კალათისკენ მორბენალი ჯანიკო ბურთით ხელში". გული გვწყდება, რომ ეს საოცრად ვაჟკაცური და მხარში ამომდგომი ადამიანი აღარაა ჩვენ შორის. ძალიან დაგვაკლდება მისი პიროვნება შემდეგ იუბილეებზე. მხოლოდ მოგონება დარჩება და ეს მოგონება იქნება მწუხარე, რადგან მას ველარ ვნახავთ ცოცხლად დარჩენილი მეგობრების გვერდით. ჯანიკო მხოლოდ ზეციდან დალოცავს თავის ოჯახს, მეგობრებსა და კეთილის მსურველებს. დაე, მშვიდად იძინოს მისმა სულმა და გვაპატიოს ასე შორიდან მოსიყვარულება.

*თანაკლასელების სახელით, მზია ჩაჩავა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. უბანი ქუთაისში; 2. ჩარხზე დასამაგრებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 3. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 5. თაღლითი ბანქოს თამაშში; 6. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 9. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 10. ერეკლე მეფის კარზე მოღვაწე სომეხი აშუღი; 11. ფიფას პრეზიდენტი; 14. დიდი ისტორიული პერიოდი; 16. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის" ფეხბურთელი; 18. ესკიმოსთა ყინულის ქოხი.

**თარაზულად:** 1. მოყავისფრო წინწკლები სახეზე, ხელებზე; 4. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 7. შტატი აშშ-ში; 8. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 12. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 13. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, თეოლოგიის დოქტორი; 15. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 17. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ხელსაწყო; 19. პირობითი საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ტექსტი; 20. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ღვარძლიანი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. საგურამო; 2. ოჯალეში; 3. ელისო; 4. თემშარა; 5. სანჩესი; 10. ლანგუსტი; 11. იანქოშვილი; 12. ღვეზელი; 15. ბურგუნდია; 16. მაიამი; 17. პელანგა; 20. დათვი.

**თარაზულად:** 6. სარაჯიშვილი; 7. დეგნანი; 8. ქრონიკა; 9. ჩაჟაში; 13. ლიდა; 14. მართვე; 18. უზუფრუქტი; 19. იანძი; 21. წაბლი; 22. უილისი; 23. მანდარინი; 24. ერისტიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰესე; 2. უნაბი; 3. სპოკი; 5. ავლანი; 6. ლუციფერი; 9. დენონსაცია; 10. კოპიტნარი; 11. ბარისტერი; 14. გოა; 16. ასკანა; 18. საგა.

**თარაზულად:** 1. ჰუმუსი; 4. ანასეული; 7. ფანხიო; 8. კუპდარი; 12. ანეტო; 13. აგენტი; 15. ხილარი; 17. ჩაი; 19. სტენოკარდია; 20. ნაიკი; 21. ღამურა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


19 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4363

ევრო — 4.1187

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7380

100 რუსული რუბლი — 4.5355

## ამინდის პროგნოზი 19 აპრილისათვის







## 20 თებერვლიდან

ჯემალ ქარჩხაძე

## მდგმური

ამ რომანის მთავარი პერსონაჟი „მდგმური“ ახალგაზრდა კაცია, მაღალი იდეალებითა და საკუთარი თავისადმი დიდი მოთხოვნებით. ცხოვრება მას არაერთ გამოცდას უწყობს, რომელთაც მეტ-ნაკლებად თავს ართმევს.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## რონალდუმ ტრავმა მიიღო, პირლო შეიძლება გაუშვან





პორტუგალიის ნაკრებისა და ტურინის იუვენტუსის ფორვარდი კრიშტიანო რონალდუ ტრავმირებულია და შესაძლოა მან რამდენიმე კვირა გამოტოვოს. ჯერჯერობით ტრავმის სიმძიმე ბოლომდე ცნობილი არ არის. კრიშტიანომ ტრავმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო და მისთვის წლევანდელ სეზონში ეს პირველი ტრავმა არ არის.

იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა ანდრეა პირლომ იმედი გამოთქვა, რომ რონალდუ მოედანს მალე დაუბრუნდება.

თავად პირლომ კი შესაძლოა სეზონის ბოლოს თანამდებობა დატოვოს, რადგან ხელმძღვანელობა მისი მუშაობითა და იუვენტუსის შედეგებით უკმაყოფილოა, თუმცა თვითონ პირლომ განაცხადა, რომ ის წასვლას არ აპირებს და იუვენტუსი მომავალ სეზონში გაცილებით უკეთეს შედეგს დააფიქსირებს.

პირლოს ბედი, სავარაუდოდ, ზაფხულში გადაწყდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბარსამ თასი მოიგო, მესიმ რეკორდები დაამყარა

ესპანურმა გრანდმა ბარსელონამ მორიგი ტიტული მოიგო – რონალდ კუმანის გაწვრთნილმა გუნდმა ესპანეთის თასის ფინალში ბილბაოს 4:0 სძლია. ბარსელონა ესპანეთის თასს 31-ედ დაეუფლა.



ბარსა მე-60 წუთზე გრიზმანის გოლით დაწინაურდა, რასაც 3 წუთში დე იონგმა კიდევ ერთი გოლი მიუმატა. ლიონელ მესის დროც მალე დადგა, არგენტინელმა დუბლი შეასრულა და 2 რეკორდი მოხსნა: არგენტინელი კოპა დელ რეის ფინალების ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ესპანეთის სამეფო თასის 119-წლიან ისტორიაში პირველი ფეხბურთელია, რომელმაც გოლი ამ ტურნირის 8 ფინალში გაიტანა.

ბარსელონამ ბილბაოს კოპა დელ რეიზე უკვე 8 ტიტულით გაუსწრო. ბასკურ კლუბს ესპანეთის თასი 23-ედ აქვს მოგებული, ბილბაომ ბოლოს თასის ფინალში 1984 წელს გაიმარჯვა, როდესაც სწორედ ბარსელონას (1:0) სძლია.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## იუმორი

ქმარი ცოლს ეუბნება:

– მოდი, გავშორდეთ ერთმანეთს! ასე ცხოვრება აღარ შემიძლია!

– არა, ქვრივად მომიყვანე და ქვრივადვე დამტოვებ...

●●●

ერთი მეზობელი მეორე მეზობლის ბავშვს ეკითხება:

– როგორ ხარ?

– კარგად.

– საბავშვო ბაღში დადიხარ?

– დავდივარ.

– ვის ეთამაშები ბაღში?

– ბიჭებს.

– და გოგონებს რატომ არ ეთამაშები?

– ფული არ მაქვს...

●●●

პაციენტი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ყველაფერი მტკივა.

– ახლა შენ ზედმეტი ნუ მოგდის, მაგდენი ფული არ გაქვს!

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ქორწილის შემდეგ მხედველობის პრობლემა მაქვს.

– კერძოდ, რით გამოიხატება?

– ფულს ველარ ვხედავ...

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– რას გააკეთებ, თუ დამინახავ, რომ სხვა ქალს ვკოცნი?

– რას და მე, როგორც ერთგული მეუღლე, ყოველდღე მოგინახულებ ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კინოთეატრი „ბათუმი“ დაანგრიეს

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი გაგა ჩხეიძე ინტერნეტში ავრცელებს ფოტოს, სადაც ჩანს, რომ კინოთეატრი „ბათუმი“ მიწასთან არის გასწორებული:



– „ბათუმი“ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მყარად იდგა. ეს ფოტო დღეს გადავიღე. ზუსტად ისეთივე იყო ყვარლის კინოთეატრი, რომელიც დაიწვა.

## გია სურამელაშვილი გულის შეტევით საავადმყოფოში მოხვდა



მომღერალი გია სურამელაშვილი გულის შეტევით ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს.

მომღერალს ექიმებმა შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

გია სურამელაშვილის საავადმყოფოში გადაღებული ფოტო ინტერნეტში გავრცელდა. მომღერალს ათასობით გულშემატკივარმა მალე გამოჯანმრთელება უსურვა.

## გიორგი მასხულია „მის აფხაზეთს“ ჩაატარებს



დიზაინერი და არაერთი სილამაზის კონკურსის ორგანიზატორი გიორგი მასხულია სილამაზის კონკურს „მის აფხაზეთს“ ჩაატარებს:

– აფხაზეთი საქართველოა და ოფიციალურად მივიღე გადაწყვეტილება, რომ ჩავატარო კონკურსი „მის აფხაზეთი საქართველო 2021“, რომლის პერფორმანსი გაიმართება ენგურის ხიდთან, კონკურსის ფინალი კი – განმუხურის ხიდზე. ძალიან დიდი მადლობა იმ ადამიანებს, რომლებიც გვერდით დამიდგნენ ამ გენიალური პროექტის განხორციელებაში.

## გიგა კვენეტაძე ქართულ პოლიციას მიმართავს



მომღერალი გიგა კვენეტაძე, რომელიც რუსეთში წლების წინ წავიდა, ქართულ პოლიციას მიმართავს:

– მივმართავ პოლიციას! ჩემო მეგობრებო, მინდა აღვნიშნო, რომ მე როდესაც ჩამოვდივარ ჩემს სამშობლოში რამდენიმე ხნით და არის შემთხვევები, როცა მაჩერებთ, თქვენგან ვგრძნობ დიდ პატივისცემას და ამისათვის დიდი მადლობა, მაგრამ!

ძალიან გთხოვთ, ნუ გახდებით მედროვეების მსახურები, დარჩით ხალხის სამსახურში და ნუ უწერთ ჯარიმებს იმ ხალხს, ახალგაზრდებს, რომლებსაც ისედაც ძალიან უჭირთ და მათ თავზე ისედაც დამტყდარია ყველაფერი, რაც არა-ზე იწყება, ისინი, უბრალოდ, სამშობლოს მიწას იცავენ.

არა ნამახვანჰესს!

## უხუცესი ფილოლოგი ენრიკო გაბიძაშვილი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა



ცნობილი ქართველი ფილოლოგი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უხუცესი თანამშრომელი, სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი ენრიკო გაბიძაშვილი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

ჯილდო მას ძველი ქართული ლიტერატურის კვლევის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა.

## ბესო ზანგური რუსთაველის თეატრის სპექტაკლებიდან მოხსნეს



რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი ბესო ზანგური ყველა სპექტაკლიდან მოხსნილია. მის ნაცვლად სპექტაკლებში სამხატვრო ხელმძღვანელ რობერტ სტურუას მიერ შერჩეული მსახიობი ითამაშებს.

ბრძანება სტურუამ უკვე გამოსცა და ხელიც მოაწერა. ამ განცხადების გავრცელებას წინ უძღოდა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადება, რომ ბესო ზანგურს სასწრაფოდ დაეტოვებინა რუსთაველის თეატრი.

**ბესო ზანგური:**

– როგორ მაინტერესებს, ჩემი სისხლის ფასად გადარჩენილ თეატრში... ჩემი სისხლის ფასად ნათამაშებ შვილივით როლებს რომელი... რომ აგიხსნათ, ამაზე დიდი დარტყმა მსახიობისთვის არ არსებობს! ამას არტისტები მიმიხვდებიან. ეს გაგდებაზე უარესია, მინდა იცოდეთ. გაიხარეთ.

პ.ს. მიუხედავად რობერტ სტურუას მიერ ბესო ზანგურის სპექტაკლებიდან მოხსნისა, რუსთაველის თეატრის წინ საპროტესტო აქცია მაინც გაიმართა, რომლის მთავარი მოწოდებაც იყო „არა ძალადობას!“ თეატრთან შეკრებილ აქციის წევრებთან რუსთაველის თეატრის მსახიობები გამოვიდნენ და მათ ურჩიეს, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევისგან თავი შეეკავებინათ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



19 აპრილისათვის

**ვერძი** – ნეგატიური ტენდენციების მატარებელი დღეა. ემოციები გონიერებას აჭარბებს. ერიდეთ ხმამაღალ ლაპარაკსა და საქმის გარჩევებს. **კურო** – დაფიქრდით, გადაწყვეტილების მიღებისას არ აჩქარდეთ. მთლიანობაში, კეთილისმყოფელი პერიოდია. **ტყუპები** – პარტნიორი თქვენს მოტყუებას აპირებს. ეს კი კონფლიქტს გამოიწვევს. ძალიან დიდი შორსმჭვრეტელობა და სიდინჯე გმართებთ. **კირჩხიბი** – ცხოვრებისეულ პრობლემებს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. ყველაფერი დროებითია და მალე გამოსწორდება. **ლომი** – პოზიტიური დღეა. ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **ქალწული** – მოსალოდნელია იმედგაცრუება. იოლად ნურავის მიენდობით. დაეყრდენით საკუთარ ინტუიციას. **სასწორი** – მხოლოდ ცივი გონებით იმოქმედეთ. ემოციების აყოლა კარგს არაფერს მოგიტანთ. **მორიელი** – გიუმჯობესდებათ ურთიერთობა ახლობლებთან და ნათესავებთან. ინტიმურ სფეროში სასიამოვნო სიახლე გელით. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კამათს. სხვის საქმეში არ ჩაერიოთ. ფიზიკური დატვირთვა მოგიხდებათ და გაგახალისებთ. **თხის რქა** – ფინანსებს გაუფრთხილდით. საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად იცით. **მერწყული** – ინტუიცია გიმახვილდებათ. დღეს თქვენს მოტყუებას ვერავინ შეძლებს. გიმართლებთ პარტნიორულ ურთიერთობებში. **თევზები** – საინტერესო მოვლენებით აღსავსე პერიოდია. რეკომენდებულია შემოქმედებითი შეხვედრები.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მძიმე ტვირთების მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 2. ბალახზე, ფოთლებზე შეყინული ცვარი; 3. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე; 4. უმაღლესი სათათბირო ორგანო ძველად საქართველოში; 5. ქართლსა და კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 10. მდგომარეობა ჭიდაობაში; 11. პროგრესის მოწინააღმდეგე ადამიანი; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 15. სამფენოვანი მინა; 16. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 17. აეროპორტი რომში; 20. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში.

**თარაზულად:** 6. სხვისი აზრების, რწმენის შემწყნარებლობა; 7. სამშენებლო მინერალი, მოსაპირკეთებელი მასალა; 8. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 9. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 13. დაბალი ხარისხის თამბაქო; 14. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 18. პრეზიდენტის რეზიდენცია რომში; 19. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 21. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 22. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 23. შემაგრებული ღვინო; 24. სახარატო ჩარხის მბრუნავი ლილვი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

